29/1932

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1932 წ. ივლისის 1. № 13 ნაწილი პირველი

შინაარსი

სახელმწიფო წყობილება და მმართველობა.

88. ქალაქ თელავში საქალაქო საბჭოს დაარსების შესახებ.

89. „სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის თაობაზე" გამოცემული დებულების მე-6 მუხ. „ს" პუნქტის შეცვლის შესახებ.

90. „სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის თაობაზე" გამოცემული დებულების მე-6 მუხლისათვის „მ¹" პუნქტის დამატების შესახებ.

91. ასაფეთქებელ სამუშაოთა წარმოების წესის შესახებ.

სახალხო მეურნეობის საერთო საკითხები.

92. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს მოწყობის შესახებ.

93. სახალხო მეურნეობის მეორე ხუთწლიანი გეგმისა და 1933 წლის საკონტროლო ციფრების შედგენისათვის საჭირო სამუშაოების ორგანიზიციის შესახებ.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა.

94. მიწის კოდექსის 94 მუხლის შეცვლის შესახებ.

95. საქართველოს სსრ-ში მეღორეობის განვითარების შესახებ.

96. საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს რეორგანიზაციის შესახებ.

სანადირო და სათევზე მეურნეობა.

97. საქართველოს სსრ-ში 1932 წელს სათევზე მეურნეობის განვითარების ღონისძიებათა და სათევზე მრეწველობის მშენებლობის გეგმის შესახებ.

ვაჭრობა. მომარაგება.

98. საქართველოს სსრ-ში შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული სასაქონლო ფონდების და ვაჭრობის მომწესრიგებელი კომიტეტის რწმუნებულის სამმართველოს დაარსების შესახებ.

99. „კოლექტიური მეურნეობების, კოლმეურნეების და მშრომელი ინდივიდუალური მეურნეგლეხების მიერ ვაჭრობის წარმოების წესისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ვაჭრობის გადასახადის შემცირების თაობაზე" გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მაისის 20-ის დადგენილების განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

100. კოლმეურნეობათა, კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ მშრომელ გლეხთა ვაჭრობის გასაშლელად საჭირო ღონისძიებების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

101. ხილეულ - ბოსტნეულის დასამზადებელი ფასების რეგულირებისათვის საკონვენციო ბიუროებისა და საკოტირო კომისიების მოწყობის შესახებ.

102. საქონლის დაკვლის თაობაზე გამოცემულ დადგენილებათა გაუქმების შესახებ.

103. სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის ხაზით სადებიტორო დავალიანების დაფარვის ღონისძიებათა შესახებ.

104. „სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის ხაზით სადებიტორო დავალიანების დაფარვის ღონისძიებათა თაობაზე" გამოცემული 1932 წ. მაისის 10-ის დადგენილების მე-2 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა.

105. საქართველოს სსრ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საბინაო აღწერის ჩატარების შესახებ.

106. მუნიციპალიზებულ სახლებში კანცელარიის და სხვა არასავაჭრო და არასამრეწველო საჭიროებისათვის დაჭერილი სადგომების ქირის შესახებ.

ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი.

107. სოფლის კულტურული და სამეურნეო მშენებლობის საჭიროებისათვის გამოსაღების ჩატარების თაობაზე გამოცემული დადგენილების მე-15 მუხლის „ბ" პუნქტის რედაქციის შეცვლის შესახებ.

108. ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა თაობაზე გამოცემული დადგენილების 23 მუხლის „გ", „დ" და „ე" პუნქტების გაუქმების შესახებ.

შ რ ო მ ა.

109. „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე შრომის საგზაო ბეგარის განხორციელების თაობაზე" გამოცემული დადგენილების მე-5 მუხლის გაუქმების შესახებ.

110. „ტყის დამზადებისა და წყლით ჩამოტივტივებისათვის შრომისა და ჭაპანზიდვის სასყიდლიანი ბეგარის დაწესების თაობაზე" გამოცემული დადგენილების გაუქმების შესახებ.

111. ხე-ტყის მასალის გამოსაზიდად თელავის, გურჯაანის, საგარეჯოს, მცხეთის და კასპის რაიონებში ფასიანი შრომის საჭაპანზიდვო ბეგარის შემოღების შესახებ.

სისხლის სამართალი.

112. სისხლის სამართლის კოდექსის 136[1] და 200[1] მუხლების შეცვლის შესახებ.

113. ა/კსფსრ-ის არსებობის ათი წლის თავის აღსანიშნავად გამოცემული ამნისტიის შეფარდების ვადის განგრძობის შესახებ.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება.

114. შრომისა და წარმოების დაცვისათვის სახალხო სასამართლოს განსაკუთრებული სესიების მოწყობის შესახებ.

115. საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულების მე-VI თავის შეცვლის შესახებ.

116. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან მყოფ მთავარი არბიტრისათვის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს, საქართველოს ეკონომიური საბჭოს და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიის სხდომებში სათათბირო ხმის უფლების მინიჭების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო წყობილება და მმართველობა

88. დადგენილება ც.ა.კ.

ქალაქ თელავში საქალაქო საბჭოს დაარსების შესახებ.

საქართველოს სსრ ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) 64 მუხლის თანახმად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

I.

1. ქალაქ თელავში, ამჟამად არსებული სასოფლო საბჭოს ნაცვლად, მოეწყოს საქალაქო საბჭო „ქალაქის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების დებულებით“ გათვალისწინებულ საერთო საფუძველზე.

2. საქალაქო საბჭოს არჩევნებისათვის ქალაქ თელავში დაწესებულ იქნეს საარჩევნო ნორმა—ერთი დეპუტატი ყოველ 50 ამომრჩეველზე.

3. ამ დადგენილების ძალაში შესვლის შემდეგ თელავის სასოფლო საბჭო დაიშალოს და მოხდეს საქალაქო საბჭოს არჩევნები საბჭოთა არჩევნების ინსტრუქციით გათვალისწინებული წესისამებრ.

II.

„ქალაქის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების დებულების“ 1 მუხლი და 6 მუხლის 1-ლი ნაწილი (საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. მე-3 №-ი, მუხ. 18) შეიცვალოს შემდეგნაირად:

„1. ქალაქის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოები ქვემომდევნო მუხლებით გათვალისწინებულ საფუძველზე ეწყობა ქალაქ ტფილისში, ბათომში, სოხუმში, ცხინვალში (სტალინირი), ქუთაისში, ფოთში, გორში, ხაშურში (სტალინისი), ბორჯომში, თელავში, ჭიათურაში, ზესტაფონში, სამტრედიაში, ზუგდიდში და ოზურგეთში.

შენიშვნა. ქალაქ სიღნაღში, დუშეთში, ლუქსემბურგში, შაუმიანში ახალციხეში, ახალქალაქში, ონში, ხონში, სენაკში, ოჩემჩირეში, გუდაუთში და გაგრაში ეწყობა სასოფლო საბჭოები სასოფლო საბჭოების შესახებ არსებული კანონმდებლობის საფუძველზე“.

„6. (ნაწ. 1) ქალაქის საბჭო ირჩევა შემდეგი ანგარიშით: ტფილისში—ერთი დეპუტატი 200 ამომრჩეველზე, ქუთაისში—ერთი დეპუტატი 150 ამომრჩეველზე, ბათომში—ერთი დეპუტატი 100 ამომრჩეველზე, სოხუმში, ცხინვალში (სტალინირი), ფოთში, გორში, ხაშურში (სტალინისი), ბორჯომში, თელავში, ჭიათურაში, ზესტაფონში, სამტრედიაში, ზუგდიდში და ოზურგეთში—ერთი დეპუტატი 50 ამომრჩეველზე“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1932 წ. მაისის 13.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

89. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის თაობაზე“ გამოცემული დებულების მე-6 მუხ. „ს“ პუნ. შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ გამოცემული დებულების მე-6 მუხლის „ს“ პუნქტი (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-20 №-ი, მუხ. 208) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

[6. სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქალაქო საბჭოებს უფლება აქვთ გამოსცენ სავალდებულო დადგენილებანი შემდეგ საკითხებზე:.....]

„ს) სხვა საკითხების შესახებ, რომლის თაობაზედაც სავალდებულო დადგენილების გამოცემის უფლება მინიჭებულია კანონით ან სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა თუ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებული დადგენილებით“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1932 წ. მაისის 5.
ტფილისი.

---

90. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის თაობაზე გამოცემული დებულების მე-6 მუხლისათვის „მ¹“ პუნქტის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ გამოცემული დებულების მე-6 მუხლს, რომელი დებულებაც დამტკიცებულია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის სექტემბრის 17-ის დადგენილებით (კან. კრ. 1931 წ. 20 №-ი, მუხ. 206, 208), დაემატოს პუნქტი „მ¹“ შემდეგი შინაარსისა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

[6. სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქალაქო საბჭოებს უფლება აქვთ გამოსცენ სავალდებულო დადგენილებანი შემდეგ საკითხებზე:.....]

„მ[1]) ცალკეულ კომუნალურ საწარმოთა პროდუქციის მოხმარების მოწესრიგების შესახებ“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1932 წ. მაისის 13.
ტფილისი.

---

91. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

ასაფეთქებელ სამუშაოთა წარმოების წესის შესახებ.

საზოგადოებრივი უშიშროების დაცვის მიზნით სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ასაფეთქებელ სამუშაოთა წარმოება საქართველოს სსრ ტერიტორიაზე შეიძლება მხოლოდ: ა) მუშათა და გლეხთა მილიციის სარაიონო და საქალაქო ორგანოების ნებართვით და ბ) იმ წესების ზედმიწევნითი დაცვით, რასაც ამ სამუშაოთა წარმოების მოწესრიგებისათვის გამოსცემს მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული (რომელიც იმყოფება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან), საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობისა, კომუნალური მეურნეობისა და შრომის სახალხო კომისარიატებთან და საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მილიციის მთავარ სამმართველოსთან ერთად.

შენიშვნა. სამთო რეწაობაში ასაფეთქებელ სამუშაოთა წარმოება რეგულირდება სსრკ-ის სამთო დებულებასა და საქართველოს სსრ სამთო კოდექსში გათვალისწინებული წესით გამოცემული წესების თანახმად.

2. სამუშაოთა ხელმძღვანელობის მიერ ამა დადგენილების 1-ლი მუხლის შეუსრულებლობა გამოიწვევს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 103 მუხლით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

3. წინადადება მიეცეს მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს (რომელიც იმყოფება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან) გამოსცეს ათი დღის ვადაზე, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობისა, კომუნალური მეურნეობისა და შრომის სახალხო კომისარიატებთან და საქართველოს მუშათა და გლეხთა მილიციის მთავარ სამმართველოსთან შეთანხმებით, ასაფეთქებელ სამუშაოთა წარმოების მომწესრიგებელი წესები და მიაწოდოს იგი სახელმძღვანელოდ ყველა სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტსა, საქალაქო საბჭოს და მშენებელ ორგანიზაციას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ამა დადგენილების მოქმედება გავრცელებულ იქნეს მთლად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიითურთ.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1932 წ. მაისის 13.

ტფილისი.

სახალხო მეურნეობის საერთო საკითხები

92. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს მოწყობის შესახებ.

სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. დეკემბრის 17-ის დადგენილებისა (სსრკ კან. კრ. 1931 წ. № 73, მუხ. 488) და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. აპრილის 1-ის დადგენილების („ზარია ვოსტოკა"-ს 1932 წ. აპრილის 6-ისა) თანახმად და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სააღნუსხვო-სასტატისტიკო სამუშაოთა ორგანიზაციის შესახებ" 1931 წ. ივლისის 26-ს მიღებული დადგენილების (ოქმი № 17) დასამატებლად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სექტორი გადაკეთებულ იქნეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებულ სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოდ.

2. საქართველოს სსრ უწყებებისა და ორგანიზაციების სააღნუსხვო-სასტატისტიკო ორგანოები, ექვემდებარებიან რა სათანადო უწყების ოპერატიულ ხელმძღვანელობას, ანხორციელებენ თავიანთი მოქმედებით საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებული სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს დირექტივებსა და დავალებებს, რაც მათთვის სავალდებულოა „სააღნუსხვო-სასტატისტიკო სამუშაოთა ორგანიზაციის შესახებ" გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. ივლისის 26-ის დადგენილების შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. უფლება მიეცეს სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს დამოუკიდებლად შეიტანოს ხოლმე საქართველოს სსრ უმაღლეს ორგანოებში წარდგინებები, მოხსენებები, პროექტები და სხვა მისთ. აღნუსხვასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე.

4. განისაზღვროს, რომ საქართველოს სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს უფროსი იმავე დროს საქართველოს სსრ სახელმწიფო-საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეა და მას ამტკიცებს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, ხოლო მასთან განწესებულ კოლეგიას ჰნიშნავს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.

5. განისაზღვროს, რომ საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველო არსებობს დამოუკიდებელი ხარჯთაღრიცხვით და დამოუკიდებელი შტატით და მას აქვს უფლება დამოუკიდებლად განკარგოს კრედიტები, დანიშნოს და შესცვალოს ხელმძღვანელი მომუშავენი თავისი სისტემის ხაზით.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს—წარუდგინოს ერთი თვის ვადაზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსახილველად საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს დებულებისა და სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სარაიონო ორგანოების დებულების პროექტები, რაც შედგენილ უნდა იქნეს სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. დეკემბრის 17-ის დადგენილების მე-6 მუხლით გათვალისწინებული ტიპური დებულების საფუძველზე.

7. აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა,—სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. დეკემბრის 17-ის დადგენილებისა, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. აპრილის 1-ის დადგენილებისა და ამა დადგენილების შესაბამისად,—უნდა გადააკეთონ სახელმწიფო საგეგმო კომისიების სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სექტორები ავტონომიური რესპუბლიკების და ოლქის სახელმწიფო საგეგმო კომისიებთან არსებულ სახალხო-სემეურნეო აღნუსხვის სამმართველოებად და უნდა შეიტანონ ამ რესპუბლიკებისა და ოლქის კანონმდებლობაში ამა დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

8. ყველა იმ პრაქტიკული საკითხის გადასაწყვეტად, რაც დაკავშირებულია სახელმწიფო საგეგმო კომისიების სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სექტორების სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოებად გადაკეთებასთან და სახელმწიფო საგეგმო კომისიების აპარატიდან ამ სამმართველოების გამოყოფასთან, მოეწყოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით მთავრობის კომისიები სახელმწიფო საგეგმო კომისიის წარმომადგენლისა, სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს უფროსისა, ფინანსთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენლისა და ზემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგომი სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს წარმომადგენლის შედგენილობით.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1932 წ. მაისის 13.

ტფილისი.

---

93. დადგენილება ს.კ.ს.

სახალხო მეურნეობის მეორე ხუთწლიანი გეგმიხა და 1933 წლის საკონტროლო ციფრების შედგენისათვის საჭირო სამუშაოების ორგანიზაციის შესახებ.

სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებების შესაბამისად და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. აპრილის 4-ის დადგენილების შესაცვლელად, რომელი დადგენილებებიც ეხება სახალხო მეურნეობის მეორე ხუთწლიანი გეგმისა და 1933 წლის საკონტროლო ციფრების შედგენისათვის საჭირო სამუშაოების ორგანიზაციის საკითხს, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სახალხო მეურნეობის მეორე ხუთწლიანი გეგმის შედგენას ანხორციელებს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია, რომელმაც უნდა მოაწყოს მეორე ხუთწლედის სახალხო-სამეურნეო გეგმის დამუშავება და ხელმძღვანელობა გაუწიოს საქართველოს სსრ-ში სადარგო გეგმების შემდგენელ და დამმუშავებელ რესპუბლიკანურ, ამიერკავკასიის და საკავშირო ორგანიზაციების მთელ მუშაობას ხუთწლედის შედგენისათვის, და აგრეთვე საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქისა და რაიონების საგეგმო ორგანოებს.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია წარუდგენს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, არა უგვიანეს 1932 წ. ივლისის 5-ისა, მეორე ხუთწლიანი გეგმის ჯუმლობითს საკონტროლო ციფრებს.

3. ყველა რესპუბლიკანური სახალხო კომისარიატი და სამეურნეო ორგანიზაცია, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკა და ოლქი და რაიონი წარუდგენს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, არა უგვიანეს 1932 წ. ივნისის 10-ისა, თავის სადარგო და ჯუმლობითს საკონტროლო ციფრებს მეორე ხუთწლიანი გეგმისას.

4. დაევალოს ყველა რესპუბლიკანურ სახალხო კომისარიატს და ორგანიზაციას ხუთწლიანი გეგმის თავისი სადარგო საკონტროლო ციფრები გაუგზავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოს შემდგომ ორგანოებს მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ამ ციფრებს იგი შეუთანხმებს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას.

5. საერთო-საკავშირო და ამიერკავკასიის უწყებებისა და ორგანიზაციების რესპუბლიკანურმა ფილიალებმა, რომლებიც საქართველოს სსრ ტერიტორიაზეა, მეორე ხუთწლიანი გეგმის საკონტროლო ციფრების წინასწარი ვარიანტი უნდა წარადგინონ არა უგვიანეს 1932 წ. ივნისის 20-ისა.

6. სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ განხილული სსრკ-ისა, ა/კსფსრ-ისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიების საკონტროლო ციფრებისა და დაზუსტებული დირექტივებისა და ლიმიტების საფუძველზე სახალხო კომისარიატები და საერთო-საკავშირო და ფედერატიული სამეურნეო ორგანიზაციების განყოფილებები წარუდგენენ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას თავიანთ 1933 წლის სადარგო საკონტროლო ციფრებს არა უგვიანეს 1932 წ. ოქტომბრის 1-ისა და მეორე ხუთწლედის სახალხო-სამეურნეო გეგმის ნაპროექტევებს—არა უგვიანეს ოქტომბრის 25-ისა, ხოლო რესპუბლიკანური სახალხო კომისარიატები და ორგანიზაციები, ამისდა შესაბამისად,—არაუგვიანეს სექტემბრის 20-ისა და ოქტომბრის 15-ისა.

7. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია წარუდგენს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას 1933 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმას არა უგვიანეს ოქტომბრის 15-ისა, ხოლო მეორე ხუთწლედის სახალხო-სამეურნეო გეგმას არა უგვიანეს 1932 წ. ნოემბრის 10-ისა.

8. მეორე ხუთწლიანი გეგმის შედგენისათვის საჭირო სამუშაოებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად, ძირითადი პრობლემების დასამუშავებლად და მეორე ხუთწლიანი გეგმის გარშემო ყველა უწყებისა, სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტისა და მთელი საზოგადოებრიობის მუშაობის გასაერთიანებლად, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმთან მოწყობილ იქნეს ცენტრალური კომისია მეორე ხუთწლიანი გეგმისათვის შემდეგი შედგენილობით: ამხ. ტოროშელიძე, ბუაჩიძე, ვ. მზარეულიშვილი, ბ. მდივანი, ს. გოდაბრელიძე, ა. ჟოჟიკაშვილი, ალ. ერისთავი, ზ. ჩახვაძე, ნ. კიკნაძე, შ. მათიკაშვილი, ს. ჯუღელი, ყამარაული, მაღრაძე, ქურდაძე, პ. ორჯონიკიძე, ბ. ქუჩულორია, მ. ორახელაშვილი, გრ. კუჭაიძე, ალ. პისკუნოვი, ბ. მაჩაიძე, ი. მუსელიანი, ნ. ამირაღოვი, პ. წულუკიძე, კ. დვალი, მ. გავაშელი, ალ. ხუციშვილი, ირ. მიქელაძე, გრ. გეგეჭკორი, აკ. სიგუა, ლ. კარბელაშვილი და წარმომადგენელნი საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი, შრომის სახალხო კომისარიატისა, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქისა.

9. სახალხო კომისარიატებმა და საერთო-საკავშირო და ფედერატიული ორგანიზაციების რესპუბლიკანურმა განყოფილებებმა, ავტონომიურმა რესპუბლიკებმა და ოლქმა და რაიონებმა დაუყოვნებლივ უნდა გაშალონ ყველა საჭირო სამუშაო ხუთლწლიანი გეგმის შედგენისათვის უმაღლესი ორგანოების მიერ დამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტკიცებულ დირექტივების და ლიმიტებისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის მინიშნებათა საფუძველზე.

ამ დირექტივებისა და ლიმიტების ყველა შემდგომი ცვლილება, რაც გამომდინარე იქნება სსრკ-ის სახელმწიფო საგეგმო კომისიისაგან შემდეგში მიღებული დირექტივებიდან და ლიმიტებიდან, შეიტანება თვით მუშაობის პროცესში; ამასთანავე, მეორე ხუთწლიანი გეგმის შესადგენად წარმოებული მუშაობის საათანადო ტემპი არ უნდა იქნეს შეჩერებული ამ დირექტივებისა და ლიმიტების მიღებამდე.

ნება დაერთოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას—მოიწვიოს 1932 წლის განმავლობაში სადარგთაშორისო და საუწყებათაშორისო პრობლემების განსახილველად რესპუბლიკანური კონფერენციები და თათბირები—სახალხო კომისარიატებისა და ორგანიზაციებისა, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების და ოლქისა და რაიონების საგეგმო ორგანოების მონაწილეობით.

მიენდოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას ჩაატაროს, 1932 წ. განმავლობაში, საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკების და ოლქის და სათანადო საქალაქო საბჭოების საგეგმო ორგანოებთან ერთად, აფხაზეთის ავტონომიურ სსრ-ში, აჭარისტანის ავტონომიურ სსრ-ში და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში და ქალ. ტფილისსა და ქუთაისში ადგილობრივი კონფერენციები მეორე ხუთწლიანი გეგმის საკითხების გამო.

10. სახალხო კომისარიატები და საერთო-საკავშირო და ფედერატიული ორგანიზაციების რესპუბლიკანური განყოფილებები გამოჰყოფენ მეორე ხუთწლიანი გეგმის შესადგენად საჭირო მუშაობისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად სახალხო კომისრის ერთ-ერთ მოადგილეს ან სათანადო ორგანიზაციის უფროსის მოადგილეს.

11. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის სქემებისა და მინიშნებების საფუძველზე სახალხო კომისარიატები და საერთო-საკავშირო სახალხო კომისარიატების რწმუნებულები უგზავნიან მათ ქვემდებარე შენაერთებს, ტრესტებს და საწარმოთ სათანადო დირექტივებს და თანაც აცნობებენ ამ დირექტივებს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას.

12. მეორე ხუთწლიანი გეგმის შესადგენად საჭირო სამუშაოების წარმატებით ჩატარებისათვის უზრუნველყოფილ იქნეს ყველა საბჭოთა, პროფესიონალური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის აქტიური მონაწილეობა ამ სამუშაოებში.

მეორე ხუთწლიანი გეგმის შედგენაში ჩაბმულ იქნენ მუშათა და კოლმეურნეთა ფართო მასები, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ყველა ცნობილი მომუშავე და აგრეთვე საქართველოს სსრ ყველა სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულება.

13. ნება დაერთოს რესპუბლიკანურ სახალხო კომისარიატებს—მოიწვიონ მეორე ხუთწლიანი გეგმის ცალკეული პრობლემების დასამუშავებლად თათბი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რები და კონფერენციები, სამეცნიერო დაწესებულებებისა და საზოგადომბრივი ორგანიზაციების მონაწილეობით, რისთვისაც ამ თათბირებისა და კონფერენციების პროგრამები და მოწვევის ვადები შეუთანხმონ წინასწარ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას.

14. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, სახალხო კომისარიატებს, ავტონომიურ რესპუბლიკებს და ოლქს და სარაიონო ორგანიზაციებს—უზრუნველჰყონ პროფესიონალური ორგანიზაციების ფართო მონაწილეობა მეორე ხუთწლიანი გეგმის შედგენისათვის წარმოებული მუშაობის ყველა სტადიაში.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **პ. ალნიაშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1932 წ. მაისის 4.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 111 №-ში 1932 წ. მიასის 15.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

94. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

მიწის კოდექსის 94 მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ მიწის კოდექსის 94 მუხლი (კან. კრ. 1925 წ. მე-3 №-ი, მუხ. 60) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„94. მიწის ნორმების დაწესების მიზნით საქართველოს ყველა ქალაქი იყოფა სამ კატეგორიად; პირველ კატეგორიას მიეკუთვნება: ტფილისი, ბათომი, სოხუმი, ქუთაისი და ფოთი; მეორე კატეგორიას—ცხინვალი (სტალინირი), თელავი, სიღნაღი, გორი, ახალციხე, ჭიათურა, ახალსენაკი და ოზურგეთი; მესამე კატეგორიას—ყველა დანარჩენი ქალაქი“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **პ. ალნიაშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1932 წ. მაისის 13.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

95. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ-ში მელორეობის განვითარების შესახებ.

კოლექტიურ მეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სამომხმარებლო კოოპერაციაში, კოლმეურნეთა არაგანსაზოგადოებულ მეურნეობებში და მშრომელ გლეხთა ინდივიდუალურ მეურნეობებში მელორეობის ყოველმხრივ წასახალისებლად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და მის ადგილობრივი ორგანოებისა, კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების, პირველ რიგში მელორეობის ტრესტისა და მელორეობის საკოლმეურნეო ცენტრისა, აგრეთვე სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანოების ძირითად ამოცანად დასახულ იქნეს მელორეობის განვითარებისათვის ისეთი ტემპების უზრუნველყოფა, რაც შეჰქმნის შესაძლებლობას საქართველოს სახორცეულო ბალანსის დეფიციატიანობის უკვე 1932 წელშივე შემცირებას.

ამისდაშესაბამისად მიღებულ უნდა იქნეს 1932 წელს საქართველოში ღორის საერთო რაოდენობის გადიდება არა ნაკლებ, ვიდრე 35 პროცენტით.

2. დაევალოს „ცეკავშირს"—მოაწყოს გოჭების გაზრდის საქმე სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოებებში 20.000 სულის რაოდენობით; აქედან მე-II კვარტალში—10.000 სულისა, მე-III კვარტალში—5.000 სულისა და მე-IV კვარტალი—5.000 სულისა.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს—განსაზღვროს ერთი დეკადის ვადაზე, რამდენი სული ღორი უნდა იკვებებოდეს სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში, გოჭების გაზრდის გეგმის ზედმეტად.

3. ღორების სულობითი რაოდენობის საწარმოო დავალებათა შესრულების მიზნით:

ა) მელორეობის საკოლმეურნეო ცენტრმა უნდა შეისყიდოს არა ნაკლებ 2.500 სული გოჭისა და გადასცეს მელორეობის სასაქონლო ფერმებს არა უგვიანეს ივნისის 1-ისა, ხოლო საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა უნდა უზრუნველჰყოს ეს ოპერაცია სათანადო დაფინანსებით;

ბ) წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ საკოლმეურნეო ცენტრს და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—დაუყოვნებლივ იხმარონ ღონისძიებანი, რათა მელორეობის სასაქონლო ფერმების ღორის ჯოგი უზრუნველყოფილ იქნეს სათანადო რაოდენობის კონცენტრირებული და ცვრიანი საკვებით, რისთვისაც მელორეობის სასაქონლო ფერმებს უნდა მიეჩინოს ნათესების სპეციალური ფართობები;

გ) მელორეობის საკოლმეურნეო ცენტრმა, მელორეობის ტრესტმა და „ცეკავშირმა" უნდა იხმარონ საჭირო ღონისძიებანი ყველა შინაგანი საკვები რესურსის მაქსიმალური მობილიზაციისათვის და მელორეობაში სახმარებელი და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატებითი საკვები (რკოს, წიწიბოს და სხვა მისთ. შეგროვება) გამოყენებისათვის; თანაც შემოიღონ იმ მოწინავე საბჭოთა მეურნეობებისა, მეღორეობის სასაქონლო ფერმებისა და სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოებების დაპრემირება, რომელნიც გამოიჩენენ ამ საქმეში უფრო მეტ ინიციატივას;

დ) ღორების საკვებად საჭამადო-საგემოო მრეწველობის ნარჩენებისა და საზოგადოებრივი კვების გადანაყარის მაქსიმალურად გამოყენების მიზნით, დაევალოს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს და „ცეკავშირს"—მიიღონ ანგარიშში ასეთი ნარჩენების რაოდენობა, რაც დიდ ქალაქებში (ტფილისი, ქუთაისი, ბათომი, ფოთი და სხვ.) მოიპოვება, და დაამუშაონ ღონისძიებანი ამ ნარჩენების ღორების საკვებად გამოყენებისათვის;

ე) დაევალოს მეღორეობის ყველა საბჭოთა მეურნეობას, კოლექტიურ მეურნეობას და მეღორეობის სასაქონლო ფერმას, აგრეთვე სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემას—შემოიღონ უაღრესად მტკიცე ეკონომია საკვებთა ხარჯვისა დაწესებული ნორმების ფარგლებში;

ვ) მიენდოს ადგილობრივ საბჭოებს და სარაიონო საკოლმეურნეო კავშირებს—ფართოდ აუწყონ მოსახლეობას, რომ 1932 წელს მეღორეობა როგორც კოლექტიურ მეურნეობებში, ისე მშრომელ გლეხთა ინდივიდუალურ მეურნეობებში განთავისუფლებულია ყოველგვარი გადასახადისაგან და რომ აგრეთვე განთავისუფლებულია გადასახადისაგან მთლად იმ საკვებთა ღირებულება, რაც გადაეცემა კოლექტიურ მეურნეობებს და მეღორეობის სასაქონლო ფერმებს.

4. რადგანაც საქართველოში, როგორც ტექნიკური და სპეციალური კულტურების რაიონში, კონცენტრირებული საკვები ნაკლებადაა, დაევალოს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს—უზრუნველჰყოს მეღორეობის საკოლმეურნეო ცენტრისათვის 3.300 ტონა კონცენტრირებულ საკვებთა გადაცემა იმ სპეციალური სახელმწიფო ფონდიდან, რაც დაწესებულია სსრკ-ის სახალხო კომისირთა საბჭოს 1932 წ. იანვრის 29-ის დადგენილებით.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს—იხმაროს ღონისძიება, რათა ღორების კონტრაქტაციისა და დამზადების დროს, ცალკეულ კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ მეურნეთა მეურნეობებში, სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. იანვრის 29-ის დადგენილების შესაბამისად, არ იქნეს შეძენილი კონტრაქტაციისა და დამზადების წესით ერთ გოჭზე მეტი თვითეულ დაყრაზე, ხოლო დანარჩენი დაყრილი გოჭები დაეტოვოს მეურნეობას სრულ განკარგულებაში.

6. წინადადება მიცეს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს—დაუყოვნებლივ გადასინჯოს ღორის ხორცის ფასები გადიდების ხაზით.

7. სსრკ-ის სახალხო კომისირთა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის მაისის 10-ის დადგენილების შესაბამისად:

ა) კატეგორიულად აიკრძალოს რაიმე შეზღუდვა მსხვილფეხა რქოსანი და წვრილფეხა საქონლის დაკვლისა როგორც სოფლის მოსახლეობის პირადი საჭიროებისა, ისე გაყიდვისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) წინადადება მიეცეს ადგილობრივ საბჭოებსა და საკოლმეურნეო ორგანოებს—უზრუველჰყონ კოლექტიური მეურნეობებისათვის, კოლმეურნეთათვის, და ინდივიდუალურ მეურნეთათვის, რომელნიც დამზადებათა გეგმას მუყაითად ასრულებენ, სრული შესაძლებლობა დაუბრკოლებლად გაყიდონ ღორები და ღორის ხორცი ბაზარზე და საკოლმეურნეო დუქნებისა და ფარდულების მეშვეობით;

გ) აეკრძალოს ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს რაიმე შეზღუდვის შემოღება კოლექტიური მეურნეობებისა, კოლმეურნეებისა და ინდივიდუალური მეურნეების მიერ თავიანთი მეურნეობის მეღორეობის პროდუქციის გაყიდვის ხაზით და თანაც ჩამოაშორონ ვაჭრობას ჩარჩები, გადამყიდველ-სპეკულანტები, რომელნიც ცდილობენ გამდიდრდენ მშრომელ გლეხთა ვაჭრობაზე.

8. წინადადება მიეცეს კოლექტიურ მეურნეობათა და სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა გამგეობებს—ყოველგვარი დახმარება გაუწიონ კოლმეურნეებს და ინდივიდუალურ საგლეხო შრომითს მეურნეობებს ღორის გაზრდისა, კვებისა და პროდუქციის გაყიდვის საქმეში.

9. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და საკოლმეურნეო ცენტრს—დააწესონ აგრო-ზოო-ვეტერინარული ქსელი მეღორეობის საკოლმეურნეო ცენტრის ხაზით ისეთი მოცულობით, რაც უზრუნველჰყოფს მეღორეობის სასაქონლო ფერმებისათვის სრული და წესიერი მომსახურეობის გაწევას, და გამოჰყონ საამისოდ სათანადო სახსარი.

10. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და მეღორეობის ტრესტს—ჩაატარონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელობით ღორების 100%-იანი იმუნიზაცია აცრის საშუალებით საბჭოთა მეურნეობებში და მეღორეობის სასაქონლო ფერმებში—ისეთი ვარაუდით, რომ სავსებით ლიკვიდირებულ იქნეს ღორების გამანადგურებელი ეპიზოოტია—ღორის ჭირი.

11. დაევალოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და საკოლმეურნეო ცენტრს—დაუყოვნებლივ შეამოწმონ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლექტიურ მეურნეობებში დასაგრილებელი კამპანიისა და გაზაფხულის გოჭების დაყრის მსვლელობა და ივნისის 15-მდე დაამთავრონ 550 სული ადრეული საჯიშე ტახის ჩამოყვანა საკოლმეურნეო სისტემისათვის.

12. აღინიშნოს, რომ საბჭოთა მეურნეობებში და მეღორების სასაქონლო ფერმებში მოზარდი ღორის შენახვა, კვება და მოვლა ცუდად არის დაყენებული, და დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, მეღორეობის ტრესტს, მეღორეობის საკოლმეურნეო ცენტრს, „ცეკავშირს“ და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირს—ეცადნენ, რათა აუცილებლად მიღწეულ იქნეს მოზარდი ღორის შენახვისა და მოვლის საქმის გაუმჯობესება, და ამ მიზნით უზრუნველჰყონ ცენტრის მიერ დამყარებული შრომის სასყიდლის სისტემის განხორციელება, რომლის მიხედვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაც შრომის სასყიდლის რაოდენობა დამოკიდებულია სასაქონლო პროდუქტების გამოსავალზე, ბერწობის შემცირებაზე და მოზარდი ღორის დაცვაზე.

13. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს—დაუყოვნებლივ განახორციელოს სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. იანვრის 29-ის დადგენილების ის ნაწილი, რაც ეხება მეღორეობის საბჭოთა მეურნეობების აგრონომიული, ზოოტექნიკური და ვეტერინარული პერსონალის მრეწველობის ინჟენრებთან გათანაბრებას მომარაგების მხრით.

საქ. სსრ. ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **პ. ალნიაშვილი.**

სრ. საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი **ლ. ბერია.**

1932 წ. მაისის 16.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 119 №-ში 1932 წ. მაისის 23.

---

96. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს რეორგანიზაციის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1932 წ. მარტის 27 დამტკიცებული ა/კსფსრ წყალთა მეურნეობის მმართველობის ორგანოების დებულების შესაბამისად:

1. საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველო გადაკეთებულ იქნეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წყალსამეურნეო სამმართველოდ, რომელიც მოქმედობს სამეურნეო ანგარიშის საფუძვლებზე.

2. უშუალო ხელმძღვანელობის გაწევა საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წყალსამეურნეო სამმართველოსათვის დაეკისროს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისრის ერთ-ერთ მოადგილეს.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—შეიმუშაოს და წარუდგინოს, ერთი თვის ვადაზე, საქართველოს სსრ საკანონმდებლო ორგანოებს: ა) წყალსამეურნეო სამმართველოს დებულების პროექტი; ბ) პროექტი დადგენილებისა საქართველოს სსრ კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული რეორგანიზაციიდან გამომდინარე ცვლილებათა შეტანის შესახებ.

II.

1. საერთო-საკავშირო ორგანოების გადაწყვეტილების შესაბამისად—კოლხიდის დაბლობის დაშრობის და სამეურნეოდ გამოყენების სამუშაოები და სამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორის ველზე საირიგაციო-საენერგეტიკო პრობლემის განხორციელებასთან დაკავშირებული სამუშაოები, როგორც საერთო-საკავშირო მნიშვნელობის სამუშაოები, გამოყოფილი იქნეს წყალთა მეურნეობის ორგანოების გამგებლობიდან და მიენდოს დამოუკიდებელ სამშენებლო სამმართველოებს, რომელნიც შედიან სსრკ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სისტემაში და ექვემდებარებიან ამ კომისარიატის რწმუნებულის (რომელიც იმყოფება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან) უშუალო ხელმძღვანელობას.

2. დროებით, ვიდრე კოლხიდის დაბლობის დაშრობის საშენებლო სამმართველოს („კოლხიდმშენის") დებულება დამტკიცდებოდეს საერთო-საკავშირო კანონმდებლობის წესით, ამ სამმართველოს მოქმედება დაექვემდებაროს ამჟამად მომქმედ დებულებას მის შესახებ, რაც დამტკიცებულია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. იანვრის 4-ის დადგენილებით (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-5 №-ი, მუხ. 49), და ამ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) 1-ლი, მე-6 და მე-17 მუხლები მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„1. კოლხიდის დაბლობის დაშრობის სამშენებლო სამმართველო („კოლხიდმშენი") შედის სსრკ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სისტემაში და იმყოფება ამ კომისარიატის რწმუნებულის (საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან) უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ.

„კოლხიდმშენის" ამოცანას შეადგენს კოლხიდის დაბლობის დაშრობა იმ მიზნით, რათა სათანადო ტერიტორია გამოყენებულ იქნეს, უმთავრესად, საფეიქრო-სუბტროპიკული კულტურებისათვის".

„6. „კოლხიდმშენის" სათავეში სდგას სამუშაოთა უფროსი, რომელსაც ნიშნავს სსრკ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის რწმუნებული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან შეთანხმებით. სამუშაოთა უფროსს ჰყავს ორი მოადგილე, რომელნიც ინიშნებიან იმავე წესით. სამუშაოთა უფროსის ერთ-ერთი მოადგილე არის მთავარი ინჟენერი".

„17. „კოლხიდმშენის" ვალებისათვის, რაც დაფარული არ არის ლიკვიდაციის წესით, სამმართველოს და სალიკვიდაციო კომისიის განკარგულებაში ქონებული სახსრის ნაკლებობის გამო, პასუხს აგებს სამმართველოს და სალიკვიდაციო კომისიის კრედიტორების წინაშე სახელმწიფო".

ბ) საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს ის ფუნქციები, რაც გათვალისწინებულია მე-5 მუხლით, მე-7 მუხლის „ა" და „გ" პუნქტებით და მე-8, 12, 13, 14, 15 და მე-16 მუხლებით, დაეკისროს სსრკ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის რწმუნებულს (საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან).

3. წინადადება მიეცეს სსრკ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის რწმუნებულს (საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან) შეიმუშაოს და წარმოუდგინოს, ერთი თვის ვადაზე, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს: ა) სამგორის ველზე საირიგაციო-საენერგეტიკო პრობლემების გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხორციელების სამშენებლო სამმართველოს („სამგორმშენის") დებულების პროექტი და ბ) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან დიდრონ წყალსამეურნეო მშენებლობის საკითხებისათვის მყოფი სსრკ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის რწმუნებულის დებულების პროექტი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომრის მოადგ. **პ. ალნიაშვილი.**
საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1932 წ. მაისის 4.
ტფილისი.

სანადირო და სათევზე მეურნეობა

97. დადგენილება ს.კ.ს და ს.კ.პ (ბ) ც.კ.

საქართველოს სსრ-ში 1932 წელს სათევზე მეურნეობის განვითარების ღონისძიებათა და სათევზე მრეწველობის მშენებლობის გეგმის შესახებ.

საქართველოს სსრ-ში სათევზე მეურნეობის განვითარების სტიმულირების მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი,—შავი ზღვის სანაპიროებისა და საქართველოს ტბებისა და მდინარეების წყალთა თევზეული რესურსების მიხედვით, დადგენენ:

1. თევზთჭერის გეგმა საქართველოს სსრ-ში 1932 წელს მიღწევინებულ იქნეს 80.000 ცენტნერამდე (წინააღმდეგ წინანდელი გეგმით გათვალისწინებული 61.000 ცენტნერისა).

ამ გეგმის აღსრულება დაეკისროს: 26.000 ცენტნერის რაოდენობით (წინაალმდეგ წინანდელი გეგმით გათვალისწინებული 15.000 ცენტნერისა) „საქართველოს თევზის" სააქციო საზოგადოებას, ხოლო 54.000 ცენტნერის რაოდენობით (წინაალმდეგ წინანდელი გეგმით გათვალისწინებული 46.000 ცენტნერისა) მეთევზეთა საკოლმეურნეო კავშირის სისტემას.

ზემოალნიშნული გადიდებული გეგმის რეალიზაციის უზრუველსაყოფად საჭიროდ იქნეს ცნობილი ქვემოდ დასახელებულ ღონისძიებათა განხორციელების დაუყოვნებლივ დაწყება.

2. წინადადება მიეცეს „საქართველოს თევზის" სააქციო საზოგადოებას—მოაწყოს სათევზე სარეწაოები ანაკლიის რაიონში—წითელი თევზის საჭერად და გაგრასა და პილენკოვოში—ქაშაყის (სელდი) საჭერად, რისთვისაც დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს ამ რაიონებში საჭირო ნაგებობათა და გამართულებათა (საალაფოებისა, ნავთსაყუდეებისა, მუშა-მოსამსახურეთა საერთო საცხოვრებლებისა და ტარა-ბადეების სარაიების) შენებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ მშენებლობის საერთო ხარჯი განისაზღვროს 150.000 მანეთის რაოდენობით.

წინადადება მიეცეს მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს (საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან), აფხაზეთის ავტ. სსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და ზუგდიდის სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს—იხმარონ ღონისძიებანი ამ მშენებლობის უზრუნველსაყოფად საჭირო საშენი მასალით (აგური, ხე-ტყე და სხვ.) როგორც ცენტრალიზებული, ისე ადგილობრივი ფონდებიდან.

3. ვინაიდან საჭიროა საქართველოს ბუნებრივი ტბების წყალთა სრული გამოყენება თევზთჭერისა და თევზის მოშენებისათვის (პალეოსტომსა, ყარაიასა, ტაბაწყურსა, ბაზალეთსა და სხვ.), წინადადება მიეცეს „საქართველოს თევზის“ სააქციო საზოგადოებას:

ა) მოაწყოს კომისია სპეციალისტებისა და წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან, საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წყალსამეურნეო სამმართველოს და „კოლხიდმშენის“ წარმომადგენელთა მონაწილეობით; ეს კომისია ორი დეკადის ვადაზე დაამუშავებს პალეოსტომის ტბის სიმლაშისა და ლამიანობის თავიდან აცილების პროექტს, რისთვისაც მოახდენს ადგილობრივ დათვალიერებას;

ბ) შეიმუშაოს და წარადგინოს ერთი დეკადის ვადაზე სათანადო ორგანოებში ხარჯთაღრიცხვა იმ სამუშაოებისათვის, რაც საჭიროა ყარაიას ტბის გასაწმენდად შამბისაგან, რომელიც თევზის ჭერას აბრკოლებს;

გ) მოაწყოს მარიის არხში სპეციალური ხელსაწყოები (გისოსი) ონავარი ჯიშის თევზთა (ლოქო) მიუკარებლობისათვის;

დ) ააშენოს ყარაიას ტბასთან საყინულე, რათა გადასაზიდი ახალი თევზი უზრუნველყოფილ იქნეს ყინულით;

ე) გააძლიეროს ზემოაღნიშნულ წყლებში ონავარი ჯიშის თევზთჭერა და სრულიად მოსპოს ნორჩი და არა ონავარი ჯიშის თევზთჭერა;

ვ) მოსპოს 1933 წლიდან ძირითადი ჯიშის თევზთჭერა ქვირითობის პერიოდში;

ზ) განახორციელოს ღონისძიებანი, რაც უზრუნველჰყოფს ტბებში თევზის მარაგთა შევსებას თევზის ხელოვნურად მოშენებით.

4. წინადადება მიეცეს „საქართველოს თევზის“ სააქციო საზოგადოებას—გააძლიეროს შინაგან წყალთა ახალი ფართობების მოწყობასთან დაკავშირებული კულტურული სათევზე-სატბეო მეურნეობის მშენებლობა, სახელდობრ: სამტრედიაში—55 ჰექტარზე, ჯაპანაში—200 ჰექტარზე და აბაშაში—250 ჰექტარზე.

დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—მიუჩინოს „საქართველოს თევზის“ სააქციო საზოგადოებას, მიწათმოწყობის გამარტივებული წესით, სათანადო ნაკვეთები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. რადგანაც საქართველოს სათევზე მეურნეობაში კულტურული მეთრეფ-ბის შთანერგვისათვის საჭიროა გამორკვეულ იქნეს თევზთა ჯიშები ამა თუ იმ წყლებში, წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომი-სარიატს მოიწვიოს, არა უგვიანეს, ვიდრე საშემოდგომო თევზთასვლის დაწყე-ბამდე, სპეციალური თათბირი ამ საკითხების დასამუშავებლად (თვითეული წყალსატევისათვის თევზის ჯიშის განსაზღვრა, მაქსიმალური რაოდენობითი ეფექტიობის ანგარიშში მიღებით).

6. საქართველოს სსრ-ში სათევზე მეურნეობის ნორმალური განვითარების უზრუნველსაყოფად წინადადება მიეცეს ყველა იმ ორგანიზაციას, რომელიც წყალსამეურნეო მშენებლობას აწარმოებს (საველიორაციო და საირიგაციო სა-მუშაოები), აგრეთვე იმ ორგანიზაციებს, რომელნიც ჰიდროტექნიკურ სამუშაოებს აწარმოებენ, დაუკავშირონ ამ მშენებლობის პროექტირება თევზის მრეწველო-ბის ინტერესებს; დაევალოს ამ ორგანიზაციებს—თავიანთი პროექტები, ამ მიზ-ნით, წინასწარ შეუთანხმონ საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისა-რიატს.

7. საქართველოს სსრ თევზსამეურნეო ორგანიზაციების ტექნიკური ბაზი-სის პრიმიტივობისა და ჩამორჩენილობის გამო და აგრეთვე იმის გამო, რომ საჭიროა რაც შეიძლება ჩქარა შთაინერგოს აქტიურ-ღრმა თევზთჭერის გაუმ-ჯობესებული მეთოდები:

ა) წინადადება მიეცეს „საქართველოს თევზის“ სააქციო საზოგადოებას და საქართველოს მეთევზეთა საკოლმეურნეო კავშირს—შეუდგნენ საკუთარი სათევზსაჭერო ფლოტის მოწყობასა და განმტკიცებას უკვე არსებული მცურავი ერთეულების ბაზისზე და აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და კერძო პირებს შორის არა ნაკლებ, ვიდრე 15 მოტორიანი კატერი და 50 ფელუგის მობილიზაციით;

ბ) წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისა-რიატს—აღძრას სსრკ-ის მომარაგების სახალხო კომისარიატის წინაშე საკითხი, რათა „საქართველოს თევზის“ სააქციო საზოგადოებას მიეცეს, გარდა იმ მო-ტორებისა, რაც 1932 წელს უნდა მიიღოს მან, დამატებით კიდევ ექვსი სხვა მოტორი (ხუთი—20-25 ძალიანი და ერთი—50 ძალიანი) ახალ ნავჭურჭელთა ასაგებად;

გ) წინადადება მიეცეს მეთევზეთა საკოლმეურნეო კავშირს—გააძლიეროს საქართველოს სათევზსაჭერო სისტემის შეიარაღება 6 ახალი მოტორიანი სანავჭურჭლო ერთეულისა და 29 იალქნიანი ბარკასის მომატებით და ბადეთ-საცავებისა, საერთო-საცხოვრებლებისა და ბარაკების მშენებლობით, რისთვისაც დასაბანდებელ კაპიტალთა საერთო თანხა მიღწევინებულ იქნეს 350.000 მანე-თამდე;

დ) წინადადება მიეცეს ფოთის სარაიონო საკოლმეურნეო კავშირს—გა-დასცეს ერთი დეკადის ვადაზე „საქართველოს თევზის“ სააქციო საზოგადოებას თავისი 40-ტონიანი ბარკასი უფრო ნაკლებ ტონაჟიან ნავჭურჭელზე გაცვლით;

ე) წინადადება მიეცეს „საქართველოს თევზის“ სააქციო საზოგადოებას წარუდგინოს ერთი თვის ვადაზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ფოთში საკუთარი სანავეურჭლო-სარემონტო სახელოსნოს აშენების პროექტი ისეთი ვარაუდით, რომ ეს სახელოსნო მომსახურეობას უწევდეს როგორც „საქართველოს თევზის“ სააქციო საზოგადოებისა, ისე მეთევზეთა საკოლმეურნეო კავშირის სისტემის მთელ სათევზსაჭერო ფლოტს; ხოლო, ვიდრე ეს მოხდებოდეს, გაერთიანებულ იქნეს „საქართველოს თევზის“ სააქციო საზოგადოებაში ამ საზოგადოებისა და მეთევზეთა საკოლმეურნეო კავშირის მექანიკური სახელოსნოები ბათომში და აღიძრას წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის წინაშე საკითხი „საქართველოს თევზის“ სააქციო საზოგადოებისათვის, იჯარის საფუძვლებზე, ბათომის ნავეურჭელთა მშენებელი ვერფის გადაცემის შესახებ;

ვ) დაევალოს კომუნისტური პარტიის (ბ) აჭარისტანის საოლქო კომიტეტს და აჭარისტანის ავტ. სსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს—უზრუნველჰყონ „საქართველოს თევზის“ სააქციო საზოგადოებისა და მეთევზეთა საკოლმეურნეო კავშირის შენაკვეთთა პირველ რიგში აღსრულება წყალთა მეურნეობის ხელშემწყობი საზოგადოების („ოსვოდ“) ვერფზე ბათომში;

ზ) შეტანილ იქნეს 1932 წლის მშენებლობის გეგმაში ერთი სანავეურჭლო კომბაინის აგება—მისი მე-IV კვარტალში დამთავრებით.

8. საქართველოს სსრ-ში 1932 წელს თევზის მრეწველობის მშენებლობის პროგრამის უზრუნველსაყოფად წინადადება მიეცეს მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს (საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან)—საშენი მასალის დაგეგმვისა და განაწილების დროს გაითვალისწინოს „საქართველოს თევზის“ სააქციო საზოგადოებისათვის და მეთევზეთა საკოლმეურნეო კავშირისათვის ორი ტონა დამრგვალებული ლურსმნისა, ორი ტონა სახურავი მოთუთიავებული რკინისა, ექვსი ტონა ხარისხული რკინისა, ექვსი ვაგონი ცემენტისა და აგრეთვე სანავეურჭლო და საბინაო მშენებლობისათვის საჭირო ხეტყის მასალის მიცემა.

მიენდოს აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა და აჭარისტანის ავტ. სსრ-ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—უზრუნველჰყონ აღნიშნული მშენებლობა თავიანთი რესურსებიდან წაბლის ფიცრებით და საყავრო შპანგოუტებით (საერთო რაოდენობით 325 კუბ. მეტრი).

9. წინადადება მიეცეს „საქართველოს თევზის“ სააქციო საზოგადოებას—დაამზადოს თევზის საჭერი იარაღი 1932 წლის შემოდგომის და 1932 წლის თევზთასვლისათვის ისეთი ვარაუდით, რომ უზრუნველჰყოს როგორც თავისი საკუთარი, ისე საქართველოს მეთევზეთა საკოლმეურნეო კავშირის საჭიროებანი.

საჭერი იარაღის დამზადების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს დიდრონ და მარჯვედ მჭერავ იარაღთა მოწყობა.

საერთო ხარჯი ამ საჭიროებისათვის განისაზღვროს 170.000 მანეთის რაოდენობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. მიენდოს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს—აღძრას სსრკ-ის მომარაგების სახალხო კომისარიატის თევზის მრეწველობისა და მეურნეობის მთავარ სამმართველოს წინაშე საკითხი, რათა, 1932 წლის თევზთჭერის გეგმის თვალსაჩინოდ გადიდების გამო, გამოყოფილ იქნეს საბადე მასალებისა, ბაგირებისა, ქერელის ნაკეთობისა, კორპისა და თევზის საჭერ სხვა საგანთა დამატებითი ფონდები 150.000 მან. რაოდენობით.

11. რადგანაც „საქართველოს თევზის“ სააქციო საზოგადოების საბრუნავი სახსარი საკმარისი არ არის თევზთჭერის და კაპიტალური მშენებლობის გეგმის გადიდებისათვის ზემოდ დასახულ ღონისძიებათა უზრუნველსაყოფად, საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა „საქართველოს თევზის“ სააქციო საზოგადოებას გამოეყოს საბრუნავ სახსრად დამატებით კიდევ 200.000 მანეთი.

მიენდოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან ერთად, გამოსძებნოს ეს სახსარი იმ საერთო წყაროებიდან, რომლებიდანაც შეივსება ხოლმე განსაზოგადოებული სექტორის სამეურნეო ორგანიზაციების საკუთარი საბრუნავი სახსარი, და ერთი დეკადის ვადაზე წარუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სათანადო მოხსენება.

12. მებადურეთა და სათევზე მეურნეობაში მოსაქმე მუშათა და კოლმეურნეთა მომარაგების გაუმჯობესების მიზნით წინადადება მიეცეს სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირს—„ცეკავშირს“—მოაწყოს ორი დეკადის ვადაზე ბათომსა, სოხუმსა, ფოთსა და ანაკლიაში დახურული სასადილოები.

დაევალოს „საქართველოს თევზის“ სააქციო საზოგადოებას—გაიღოს ამ სასადილოების გაწყობილობისათვის „ცეკავშირის“ განკარგულებაში 30.000 მან.

მიენდოს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს— აღძრას სსრკ-ის მომარაგების სახალხო კომისარიატის წინაშე საკითხი, რათა საქართველოს მებადურენი მიკუთვნებულ იქნენ იმ პირთა კატეგორიისათვის, რომელთა მომარაგებაც სწარმოებს დიდი მეთევზეობის რაიონების კონტინგენტების მიხედვით.

წინადადება მიეცეს მომარაგების სახალხო კომისარიატს—გამოჰყოს თევზთმჭერავი ორგანიზაციების საჭიროებისათვის 200 ტონა სიმინდი.

13. მებადურეთა და სარეწაოების მუშათა წასახალისებლად გეგმის შესრულებისა და გადამეტებით შესრულებისათვის, წინადადება მიეცეს სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირს—„ცეკავშირს“—გამოჰყოს საპრემიო ფონდად 20.000 მანეთის სამრეწველო საქონელი.

14. მიენდოს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის კადრების განყოფილებას—დაუყოვნებლივ დაასახელოს კანდიდატები მეთევზეთა საკოლმეურნეო ცენტრის რწმუნებულის თანამდებობაზე და „საქართველოს თევზის“ სააქციო საზოგადოების მმართველის მოადგილის თანამდებობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინადადება მიეცეს აფხაზეთის საოლქო და ფოთის სარაიონო პარტიულ კომიტეტებს—გადასინჯონ სათევზე კოლექტიურ მეურნეობათა ხელმძღვანელი შედგენილობა—მისი განმტკიცების მიზნით.

15. წინადადება მიეცეს „საქართველოს თევზის“ სააქციო საზოგადოებას—წარავლინოს მუშები „აზრიბისა“ და „კრიმგოსრიბტრესტის“ სარეწაოებში საკილკე და თევზის დაშაშხვისა და დამარილების საქმის შესასწავლად.

მიენდოს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისაოიატს—აღძრას თევზის მრეწველობისა და მეურნეობის მთავარ სამმაროველოს წინაშე საკითხი, რათა „საქართველოს თევზის“ სააქციო საზოგადოებისა და საქართველოს მეთევზეთა საკოლმეურნეო კავშირის მომუშავეთ მიეცეთ ხუთი ადგილი მოსკოვის სათევზე მეურნეობის ინსტიტუტში საშემოდგომო გაწვევის დროს.

16. კატეგორიული წინადადება მიეცეს „საქართველოს თევზის“ სააქციო საზოგადოებას და საქართველოს მეთევზეთა საკოლმეურნეო კავშირს—დაუყოვნებლივ გარდაქმნან თავიანთი მუშაობა ამხ. სტალინის ექვსი დირექტივის საფუძველზე და შთანერგონ სოციალისტური შრომის ახალი ფორმები (სოცშეჯიბრება და დამკვრელობა).

საქართველოს მეთევზეთა საკოლმეურნეო კავშირმა უნდა განახორციელოს ღონისძიებანი, რაც გათვალისწინებულია სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით კოლექტიური მეურნეობების საორგანიზაციო-სამეურნეო განმტკიცების შესახებ.

17. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სამეცნიერო-წყალსამეურნეო და ჰიდრო-ბიოლოგიურ სადგურს გარდაქმნას თავისი მუშაობის გეგმა თევზთჭერის სარენტაბელო ხერხთა საკითხების შესწავლის ხაზით.

ამ მიზნით:

ა) ზემოდ დასახულ ღონისძიებათათვის სამეცნიერო ბაზისის შესაქმნელად და ამავე დროს ძირითადი ამოცანის (სათევზე მეურნეობის დაწვრილებით შესწავლა) შესასრულებლად სადგურმა უნდა გარდაქმნას თავისი მუშაობის გეგმა ისე, რომ კავშირი სამეურნეო ორგანიზაციებთან უფრო და უფრო განმტკიცდეს; ამისათვის მან უნდა მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება გამოკვლევებს. საზღვაო მომპოებელი მრეწველობის რეკონსტრუქციის სფეროში და უკვე ექსპლოატაციაში მყოფი წყაროების და ახალი სანედლეულო წყაროების გამოაშკარავებისა და რაციონალურად გადამუშავების სფეროში; აგრეთვე მუშაობის გეგმის გარდაქმნამ ხელი უნდა შეუწყოს ტბებზე სამუშაოების გაშლას—რაც შეიძლება ჩქარა კულტურული მეურნეობების რეჟიმზე გადასვლის მიზნით და კადრების მომზადების საქმის ჩამოყალიბებას;

ბ) ზემოაღნიშნული სამუშაოების განსახორციელებლად წინადადება მიეცეს ა/კ. მომარაგება-მშენებლობის ტრესტს—დააჩქაროს ხსენებული სადგურის შენობის მშენებლობა ბათომში ისეთი ვარაუდით, რომ იგი დამთავრებულ იქნეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

1933 წ. იანვრის 1-სთვის, რისთვისაც ეთხოვოს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს—უზრუნველჰყოს მშენებლობა საჭირო მასალით;

გ) წინადადება მიეცეს წყალთა მეურნეობის ხელშემწყობ საზოგადოებას („ოსვოდ") და ბათომის ინდუსტრიალური ტექნიკუმის მექანიკურ სახელოსნოს—დაამთავრონ სადგურის შენაკვეთები 1932 წ. მაისის 25-სთვის;

დ) აღიძრას მთავარი ჰიდროგრაფიური სამმართველოს წინაშე საკითხი იმის შესახებ, რომ საჭიროა სადგურის მიერ შეკვეთილი საზღვაო ინსტრუმენტები დამთავრებულ იქნეს ა/წ. ივლისის 1-სთვის;

ე) საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა საქართველოს სსრ-ში უნდა გაითვალისწინოს სადგურისათვის ლიცენზიის გამოყოფა არა ნაკლებ, ვიდრე 10.000 მანეთის რაოდენობით—საიმპორტო ხელსაწყოებისა და ლიტერატურის შესაძენად;

ვ) წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატს—მოახდინოს მობილიზაცია ერთი მაღალკვალიფიციური ეკონომისტისა, რომელიც სპეციალისტია სათევზე მეურნეობის საკითხებში, და თევზის დამუშავების საქმის მცოდნე ერთი ტექნოლოგისა და წარგზავნოს ისინი სადგურზე სამუშაოდ;

ზ) აჭარისტანის პარტიულმა საოლქო კომიტეტმა და აჭარისტანის ავტ. სსრ ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა უნდა მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება სადგურის სამუშაოებს და ყოველმხრივ ხელი მეუწყონ მის სამეცნიერო-საკვლევო საქმიანობას, რისთვისაც მისი მომუშვეებისათვის უნდა შექმნან სათანადო საყოფაცხოვრებო პირობები (საცხოვრებელი ფართობი და სხვ.).

18. წინადადება მიეცეს აჭარისტანის და აფხაზეთის პარტიულ საოლქო კომიტეტებს და აგრეთვე ფოთის საქალაქო და ზუგდიდის სარაიონო პარტიულ კომიტეტებს—გაუწიონ ყოველგვარი დახმარება თევზთჭერის საკოლმეურნეო სისტემას და „საქართველოს თევზის" სააქციო საზოგადოებას და მოისმინონ ხოლმე პერიოდული მოხსენებანი მუშაობის მსვლელობის შესახებ.

19. მიენდოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ აღსრულების შემმოწმებელ კომისიას—მოისმინოს მიმდინარე წლის ივნისის მეორე ნახევარში „საქართველოს თევზის" სააქციო საზოგადოებისა და საქართველოს მეთევზეთა საკოლმეურნეო კავშირის მოხსენებანი ამა დადგენილების აღსრულების მსვლელობის შესახებ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარის მოადგ. **პ. ალნიაშვილი.**

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი **ლ. ბერია.**

1932 წ. მაისის 16.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 119 №-ში 1932 წ. მაისის 23.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჭრობა. მოგვარაგება

98. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ-ში შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული სასაქონლო ფონდების და ვაჭრობის მომწესრიგებელი კომიტეტის რწმუნებულის სამმართველოს დაარსების შესახებ.

„შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან სასაქონლო ფონდებისა და ვაჭრობის მომწესრიგებელი კომიტეტის მოწყობის შესახებ“ გამოცემული შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1932 წ. აპრილის 1-ის დადგენილების მე-3 მუხლის შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1932 წ. 25 №-ი, მუხ. 155) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაარსებულ იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან სასაქონლო ფონდების და ვაჭრობის მომწესრიგებელი კომიტეტის რწმუნებულის სამმართველო.

2. დროებით, ვიდრე საერთო-საკავშირო კანონმდებლობის წესით განსაზღვრულ იქნებოდეს სასაქონლო ფონდების და ვაჭრობის მომწესრიგებელი კომიტეტის რწმუნებულთა საგნები და უფლება-მოვალეობანი რესპუბლიკებსა, მხარეებსა და ოლქებში, 1-ლ მუხლში აღნიშნული სამმართველოს ფუნქციებს მიეკუთვნოს შემდეგი საკითხები:

ა) ადგილობრივი სასაქონლო ფონდების განსაზღვრა და ზემოაღნიშნული კომიტეტის მიერ გამოყოფილი სასაქონლო ფონდების საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განაწილება ადმინისტრატიულ-ტერიტორიალურ ერთეულებსა და საქონლის გამტარებელ ქსელს შორის;

ბ) საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ფართო მოხმარების საქონლის მიწოდების გეგმის შესრულებისა და სასაქონლო ფონდების გამოყენების შემოწმება;

გ) საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, ზემოაღნიშნული კომიტეტის საერთო გეზის შესაბამისად, ვაჭრობის ორგანიზაციისა და რეგულირების საკითხების გადაწყვეტა;

დ) საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ფართო მოხმარების საქონლის საგასაცემო, საბითუმო და ცალობითი ფასების რეგულირების შესახებ.

3. სასაქონლო ფონდებისა და ვაჭრობის მომწესრიგებელი კომიტეტის რწმუნებულის გადაწყვეტილებანი და განკარგულებანი ამა დადგენილების მე-2 მუხლში აღნიშნული საკითხების გამო სავალდებულოა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მომქმედი ყველა უწყებისა და ორგანიზაციისათვის და ამ გადაწყვეტილებათა და განკარგულებათა განსაჩივრება შეიძლება საერთო წესისამებრ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **პ. ალნიაშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **გ. თათეიშვილი.**

1932 წ. მაისის 23.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 129 №-ში 1932 წ. ივნისის 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

99. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„კოლექტიური მეურნეობების, კოლმეურნეების და მშრომელი ინდივიდუალური მეურნე-გლეხების მიერ ვაჭრობის წარმოების წესისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ვაჭრობის გადასახადის შემცირების თაობაზე“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მაისის 20-ის დადგენილების განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

რათა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე დაუყოვნებლივ განხორციელებულ იქნეს სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მაისის 20-ის დადგენილება „კოლექტიური მეურნეობებისა, კოლმეურნეებისა და მშრომელი ინდივიდუალური მეურნე-გლეხების მიერ ვაჭრობის წარმოების წესისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ვაჭრობის გადასახადის შემცირების შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1932 წ. № 38, მუხ. 233; „სსრკ ცენ. აღმ. კ-ტის იზვესტია“-ს 139 №-ი 1932 წ. მაისის 21) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს—დაუყოვნებლივ განახორციელონ ზემოაღნიშნული, 1932 წ. მაისის 20-ის, კანონის 1,7 და 8 მუხლები: ა) კოლექტიური მეურნეობებისა, კოლმეურნეებისა და მშრომელი ინდივიდუალური მეურნე-გლეხების მიერ ბაზარზე, მოედანზე, რკინის გზის სადგურზე ნავთსაყუდზე და სხვა მისთ. თავიანთი სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტების (პური, ხორცი, ფრინველი, კვერცხი, რძის პროდუქტები, ბოსტნეული, მხილი, ხილი და სხვა მისთ.) ვაჭრობისათვის არსებული ყველა, როგორც რესპუბლიკანური, ისე ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღების გაუქმების შესახებ; ბ) კოლექტიური მეურნეობების მიერ თავიანთი სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტების ვაჭრობისათვის უშუალოდ გახსნილი ფარდულებისა, კარვებისა და დუქნების ბრუნვის გადასახადის შემცირებული განაკვეთით დაბეგვრის შესახებ (საერთო ნავაჭრის 3%-ით) და გ) კოოპერაციისათვის დაწესებული ყველა საგადასახადო შეღავათის კოლექტიურ მეურნეობათა კავშირებისა და შენაერთების მიერ გახსნილ ფარდულებზე, დუქნებზე და მაღაზიებზე გავრცელების შესახებ.

2. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს: ა) დაავალონ სათანადო ადგილობრივ ორგანოებს და თანამდებობის პირებს—შეუფარდონ კოლექტიურ მეურნეობებს, კოლმეურნეებს და მშრომელ ინდივიდუალურ მეურნე-გლეხებს ადგილობრივი თითოეერითი გამოსაღების ყველა შეღავათი, რაც გათვალისწინებულია „ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოსს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აპრილის 3-ის დადგენილების მე-V კარით (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-6 №-ი, მუხ. 71)—ამა დადგენილებაში შეცვლილი რედაქციით (კარი მე-II); ბ) შეამცირონ არა ნაკლებ, ვიდრე 25%-ით, კოლექტიურ მეურნეობათა მაღაზიებით, დუქნებით და ფარდულებით დაჭერილი სადგომების საიჯარო ქირა.

3. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქალაქო საბჭოებს, ზემოაღნიშნული, 1932 წ. მაისის 20-ის, კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად, არ გააღებინონ კერძო მოვაჭრეებს მაღაზიები და დუქნები და ყოველგზით აღმოფხვრან ჩარჩები და სპეკულანტები, რომელნიც ცდილობენ გამდიდრდენ მუშებისა და გლეხების ხარჯზე.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მომარაგებისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატებს მისცენ თავიანთ ადგილობრივ ორგანოებს დირექტივა კერძო ვაჭრობისა და სავაჭრო შუამავლობისათვის ზედამხედველობის გაძლიერების შესახებ სპეკულაციასთან საბრძოლველად და გადასახადით დასაბეგრი პირებისა და ობიექტების სავსებით გამოსააშკარავებლად.

მიენდოს სახელმწიფო პროკურატურის ორგანოებს—ყველა ის პირი, ვინც მხილებულ იქნება კოლექტიური მეურნეობებისა, კოლმეურნეებისა და მშრომელი ინდივიდუალური მეურნე-გლეხების სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტების სპეკულაციაში, აძლიონ პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსიის 142 მუხლის თანახმად.

II.

„ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აპრილის 3-ის დადგენილების მე-V კარში (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-6 №-ი, მუხ. 71) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-18 მუხლს დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

შენიშვნა. კოლექტიური მეურნეობებისა, კოლმეურნეებისა და მშრომელი ინდივიდუალური მეურნე-გლეხების ფეხზე ვაჭრობის თითოჯერითი გამოსაღები (მე-19 მუხლში აღნიშნული შემთხვევების გარდა) არ შეიძლება აღემატებოდეს დღიურ ვაჭრობას: საზიდავზე—ერთ მანეთს, ხელით, თაფხით და სხვ. მისთ.—20 კაპ., თითო სულ მსხვილფეხა საქონელზე—1 მანეთს და თითო სულ წვრილფეხა საქონელზე—50 კაპ.“.

2. მე-19 მუხლის „ბ“, „გ“, „დ“ და „ე“ პუნქტები მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

[19. ფეხზე ვაჭრობის თითოჯერითი გამოსაღებისგან განთავისფლდება:....]

„ბ) ის კოლმეურნე და მშრომელი ინდივიდუალური მეურნე-გლეხი, რომელიც ჰყიდის თავის სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) ის კოლმეურნე და მშრომელი ინდივიდუალური მეურნე-გლეხი, რომელიც ჰყიდის თავისი შრომით მოპოებულ ხმილს, სოკოს, ყვავილს, თევზს და ნანადირევს;

დ) ის კოლმეურნე და მშრომელი ინდივიდუალური მეურნე-გლეხი, რომელიც ჰყიდის თავის მიერ დამზადებულ შეშას თუ ნახშირს, უკეთუ მას აქვს სამორე სასყიდლის გადახდის ქვითარი;

ე) ის კოლმეურნე და მშრომელი ინდივიდუალური მეურნე-გლეხი, რომელიც ჰყიდის თავის ოთხფეხ საქონელს".

III.

1. მიენდოს აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს იხმარონ ღონისძიებანი ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული, 1932 წ. მაისის 20-ის, დადგენილების დაუყოვნებლივ განხორციელებისათვის.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ყველა სახალხო კომისარიატს, უწყებას და ორგანიზაციას, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტსა და საქალაქო საბჭოს დაუყოვნებლივ გააუქმონ ყველა ის დადგენილება, ბრძანება, ინსტრუქცია და სხვა საუწყებო აქტი, რაც ეწინააღმდეგება ზემოაღნიშნულ საერთო-საკავშირო, 1932 წლის მაისის 20-ის, კანონს და ამა დადგენილებას.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **პ. აღნიაშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1932 წ. მაისის 26.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 122 №-ში 1932 წ. მაისის 27.

---

100. დადგენილება ს.კ.ს.

კოლმეურნეობათა, კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ მშრომელ გლეხთა ვაჭრობის გასაშლელად საჭირო ღონისძიებების შესახებ.

იმ მიზნით, რომ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განმტკიცდეს და განვითარდეს კოლმეურნეობათა, კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ მშრომელ გლეხთა მიერ თავიანთი სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტების ვაჭრობა, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირს—ცეკავშირს დაუყოვნებლივ გამოარკვიოს, რა რაოდენობის სამრეწველო საქონელს აძლევს სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირთა ცენტრალური კავშირი საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოც. საბჭოთა რესპუბლიკას 1932 წლის მე-2 და მე-3 კვარტალში იმ 50-მილიონიანი ფონდიდან, რომელიც მის მიერ გამოყოფილია საკოლმეურნეო ვაჭრობისათვის ხელისშესაწყობად, და ხუთი დღის ვადაზე წარმოუდგინოს საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სასაქონლო ფონდების და ვაჭრობის მოწესრიგების კომიტეტის რწმუნებულთან (საქართველოს სსრ-ში) შეთანხმებული პროექტი აღნიშნული საქონლის განაწილებისა კვარტალების და რაიონების მიხედვით.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს დაამუშაოს, ცეკავშირის და საქვაჭრობის მონაწილეობით, საკითხი იმის შესახებ, რომ ბაზრებზე გაიხსნას საკმაო რაოდენობის სავაჭრო წერტილები იმ კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ მშრომელ გლეხთათვის სამრეწველო საქონლის მისაყიდად, რომელნიც გამოიტანენ გასაყიდად თავიანთი სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქციას, და ხუთი დღის ვადაზე წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სათანადო მოხსენება.

3. დაევალოს ცეკავშირს დაუყოვნებლივ განახორციელოს სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირთა ცენტრალური კავშირის დადგენილება იმის შესახებ, რომ სამომხმარებლო კოოპერაციის სარაიონო კავშირები და სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოებანი ვალდებული არიან დაუთმონ კოლმეურნეობებს დროებითი სარგებლობისათვის ფარდულები, კარვები და სადგომები მაღაზიებში და ბაზარზე, რათა მათ გაჰყიდონ თავიანთი პროდუქცია.

4. იმ მიზნით, რომ მსხვილი კოლმეურნეობები თავიანთი პროდუქციით გამოვიდნენ არა მარტო ადგილობრივ (ახლობელ) ბაზარზე, არამედ, უმთავრესად, სამრეწველო რაიონებისა და მუშათა ცენტრების ბაზარზედაც, მიენდოს სასაქონლო ფონდების და ვაჭრობის მოწესრიგების კომიტეტის რწმუნებულს (საქართველოს სსრ-ში) დაამუშაოს, საქართველოს კოლმეურნცენტრთან და ცეკავშირთან ერთად, სათანადო ღონისძიებანი იმისათვის, რომ სამრეწველო რაიონებსა და მუშათა ცენტრებში შეიქმნას შესაფერისი პირობები საკოლმეურნეო ვაჭრობისათვის (პროდუქტების შენახვის ორგანიზაცია, ოთხფეხი საქონლის საკვები პუნქტების მოწყობა, პროდუქტების ტრანსპორტი და სხვ.), და ერთი დეკადის ვადაზე წარმოუდგინოს სათანადო მოხსენება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

5. მიენდოს საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს: ა) შეამოწმოს ივნისის პირველ ნახევარში ქალ. ტფილისში და შერჩევით საქართველოს სსრ ყველა რაიონში საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს, საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის და სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საკოლმეურნეო ვაჭრობის გაშლის შესახებ მიღებულ დადგენილებათა აღსრულების მსვლელობა; ბ) შემოიღოს სისტემატიური, დღითი-დღე, შემოწმება მთავრობის და პარტიის ყველა იმ დირექტივის აღსრულებისა, რაც აღნიშნულ საკითხს შეეხება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულმა აღსრულების კომისიამ 1932 წლის ივნისის 15-ს მოისმინოს საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის სათანადო მოხსენება.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **პ. ალნიაშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **გ. თათეიშვილი.**

1932 წ. მაისის 28.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 125 №-ში 1932 წ. მაისის 30.

---

101. დადგენილება ს.კ.ს.

ხილეულ-ბოსტნეულის დასამზადებელი ფასების რეგულირებისათვის საკონვენციო ბიუროებისა და საკოტირო კომისიების მოწყობის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ხილეულ-ბოსტნეულის დასამზადებელი ფასების ლიმიტების განსაზღვრისათვის და აგრეთვე ამ ფასების კოორდინაციისათვის საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ცალკეული საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულების ხაზით (ავტონომიური რესპუბლიკები და ოლქი და რაიონები) მოწყობილ იქნეს შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულთან (რომელიც იმყოფება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან) საკონვენციო ბიურო ხილ-ბოსტნეულისათვის—დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულის სამმართველოს, საქართველოს სსრ მომარაგების, მიწათმოქმედების და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატებისა, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების ცენტრალური კავშირისა (საქართველოს საკოლმეურნეო ცენტრი), საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირის—„ცეკავშირისა", საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს, ტფილისის საქალაქო საბჭოს, საკონსერვო მრეწველობის ტრესტისა („საქკონსერვტრესტი") და საქართველოს ვაჭრობის წარმომადგენელთა შედგენილობით.

მიენდოს აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს მოაწყონ ამ რესპუბლიკების და ოლქის ტერიტორიაზე ზემოაღნიშნული ფუნქციების განსახორციელებლად საკონვენციო ბიუროები ხილეულ-ბოსტნეულისათვის, სათანადო უწყებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენელთა შედგენილობით.

2. მოწყობილ იქნეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოებთან საკოტირო კომისიები ხილეულ-ბოსტნეულის სარაიონო დასამზადებელი ფასების დასადგენად განსაზღვრული დროის პერიოდისათვის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის წარდგენებულის მიერ დამტკიცებული ლიმიტების ფარგლებში.

ამ კომისიების შედგენილობაში შედიან სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ან საქალაქო საბჭოს (კომისიის თავმჯდომარე), მუშათა და გლეხთა ინსპექციის ადგილობრივი ორგანოს, სათანადო დამმზადებელი და მოვაჭრე ორგანიზაციებისა და კოლექტიურ მეურნეობათა სარაიონო კავშირის (სარაიონო საკოლმეურნეო კავშირი) წარმომადგენელნი.

3. ხილეულ-ბოსტნეულის დასამზადებელი ფასების მრეგულირებელი ზემოაღნიშნული საკონვენციო ბიუროებისა და საკოტირო კომისიების მოქმედების წესი განისაზღვრება ინსტრუქციებით, რასაც გამოსცემს შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის რწმუნებული (საქართველოს სსრ სახალხო კომისათა საბჭოსთან).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **პ. ალნიაშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1932 წ. მაისის 13.

ტფილისი.

---

102. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქონლის დაკვლის თაობაზე გამოცემულ დადგენილებათა გაუქმების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

გაუქმებულ იქნეს:

1) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა. საბჭოს 1929 წ. ნოემბრის 1-ის დადგენილება „დედა-ცხვრების დაკვლის შესახებ“ (კან. კრ. 1929 წ. 22 №-ი, მუხ. 275; 1930 წ. მე-3 №-ი, მუხ. 45 და მე-9 №-ი, მუხ. 104);

2) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. დეკემბრის 20-ის დადგენილება „საქონლის დაუზოგველად დაკვლის საწინააღმდეგო ღონისძიებათა შესახებ“ (კან. კრ. 1931 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 4);

3) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. იანვრის 30-ის დადგენილება „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საქონლის დაკვლისა და საქონლის და ხორცის გაყიდვის შესახებ“ (კან. კრ. 1931 წ. მე-3 №-ი, მუხ. 37);

4) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. აპრილის 13-ის დადგენილება „ოთხფეხი საქონლის ფარულად დამკვლელებისა და ფარულად

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკლული საქონლის პროდუქტების ვაჭრობის აღმომჩენთა დაპრემირების შესახებ" (კან. კრ. 1932 წ. № 11, მუხ. 76; „კომუნისტის" 1932 წ. 96 №-ი).

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **პ. ალნიაშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1932 წ. მაისის 20.

ტფილისი.

---

103. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის ხაზით სადებიტორო დავალიანების დაფარვის ღონისძიებათა შესახებ.

სახსართა მობილიზაციისათვის ხელშესაწყობად და სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის ხაზით სადებიტორო დავალიანების სასწრაფოდ დასაფარავად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის ხაზით სადებიტორო დავალიანების ლიკვიდაციის საქმისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად მოწყობილ იქნეს:

ა) სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირის („ცეკავშირის") გამგეობასთან ცენტრალური კომისია შემდეგი შედგენილობით: წარმომადგენელი საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისა (კომისიის თავმჯდომარე), საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, სახელმწიფო პროკურატურისა, სახელმწიფო ბანკისა და „ცეკავშირის" გამგეობისა;

ბ) სარაიონო კომისიები შემდეგი შედგენილობით: წარმომადგენელი სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისა (კომისიის თავმჯდომარე), მუშათა და გლეხთა სარაიონო ინსპექციისა, სარაიონო პროკურატურისა, სახელმწიფო ბანკის განყოფილებისა ან სააგენტოსი და სამომხმარებლო კოოპერაციის სარაიონო კავშირისა.

წინადადება მიეცეს აღნიშნულ კომისიებს—დაამთავრონ, ორი თვის ვადაზე დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა, მთლად სადებიტორო დავალიანების დაფარვა სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის ხაზით.

2. ნება მიეცეს 1-ლ მუხლში აღნიშნულ კომისიებს—გადასწყვიტონ სახელმწიფო არბიტრაჟის უფლების საფუძველზე ის ქონებრივი დავანი, რაც აღიძვრის სადებიტორო დავალიანების დაფარვისათვის საჭირო ღონისძიებათა ჩატარების პროცესში სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანოებსა და განსაზოგადოებული სექტორის ორგანიზაციებს შორის; ეს დავანი გადაწყვეტილ უნდა იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან და საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის ცენტრალურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის ქვემდებარეობის ფარგლებში და სახელმწიფო არბიტრაჟში ასეთი საქმეების განხილვისათვის დადგენილი წესების მიხედვით.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს—უზრუნველჰყოს ზემოაღნიშნული კომისიების მუშაობის პროცესში აღძრულ სარჩელთა რიგს გარეშე და სასწრაფო გადაწყვეტა სასამართლო ორგანოების მიერ.

4. მიენდოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს,—სახელმწიფო პროკურატურასთან, საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოსთან და სახელმწიფო ბანკის ამიერკავკასიის სამხარეო კონტორასთან შეთანხმებით,—ხუთი დღის ვადაზე გამოსცეს და მიაწოდოს ვისაც ჯერ არს სახელმძღვანელოდ ინსტრუქცია ამა დადგენილების ჩატარების წესის შესახებ.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ. ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **პ. აღნიაშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1932 წ. მაისის 10.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 112 №-ში 1932 წ. მაისის 15.

---

104. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის ხაზით სადებიტორო დავალიანების დაფარვის ღონისძიებათა თაობაზე" გამოცემული 1932 წ. მაისის 10-ის დადგენილების მე-2 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის ხაზით სადებიტორო დავალიანების დაფარვის ღონისმიებათა შესახებ" გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მაისის 10-ის დადგენილების მე-2 მუხლი (კან. კრ. 1932 წ. № 13, მუხ. 103; „კომუნისტის" 112 №-ი 1932 წ. მაისის 15) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„2. ნება მიეცეს 1-ლ მუხლში აღნიშნულ კომისიებს გადასწყვიტონ სახელმწიფო არბიტრაჟის უფლების საფუძველზე ის ქონებრივი დავანი, რაც აღიძვრის სადებიტორო დავალიანების დაფარვისათვის საჭირო ღონისძიებათა ჩატარების პროცესში, ათას მანეთზე მეტი თანხის შესახებ, განსაზოგადოებული სექტორის ორგანიზაციებს შორის; ეს დავანი გადაწყვეტილ უნდა იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან და საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის ქვემდებარეობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფარგლებში და სახელმწიფო არბიტრაჟში ასეთი საქმეების განხილვისათვის დადგენილი საერთო წესების მიხედვით.

შენიშვნა. კომისიებში ქონებრივ დავათა შესახები საქმეების განხილვის დროს მონაწილეობას იღებენ მხარეთა წარმომადგენლების სახით სამომხმარებლო კოოპერაციის სათანადო ორგანოს წარმომადგენელი და დაინტერესებული ორგანიზაციის წარმომადგენელი".

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მ. დ. ა. **ბ. მაჩაიძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **პ. ალნიაშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1932 წ. მაისის 28.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 135 №-ში 1932 წ. ივნისის 11.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა

105. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საბინაო აღწერის ჩატარების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ჩატარებულ იქნეს, დაწყებული 1932 წ. მაისის 20-დან, საქართველოს სსრ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საბინაო აღწერა; აღწერა ჩატარებულ უნდა იქნეს:

ა) პირველ რიგში—ბათომსა, სოხუმსა, ქუთაისსა, ტყიბულსა, ჭიათურასა, გორსა, სტალინისსა, სამტრედიასა, ბორჯომსა, ზესტაფონსა, ფოთსა და სტალინირში (ცხინვალი);

ბ) მეორე რიგში—სხვა ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში.

2) საბინაო აღწერის მოწყობა და აღწერისათვის ხელმძღვანელობისა და კონტროლის გაწევა დაეკისროს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს.

3. სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების პრეზიდიუმებმა, ამა დადგენილებისა და საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის დირექტივების საფუძველზე უნდა გამოსცენ აღწერის დაწყებამდე სავალდებულო დადგენილებანი საბინაო აღწერის ჩატარების წესის შესახებ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **პ. ალნიაშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს.-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1932 წ. მაისის 17.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

106. დადგენილება ს.კ.ს.

მუნიციპალიზებულ სახლებში კანცელარიისა და სხვა არასავაჭრო და არასამრეწველო საჭიროებისათვის დაჭერილი სადგომების ქირის შესახებ.

მუნიციპალურ სახლებში დაწესებულებების მიერ დაჭერილი სადგომების ქირის შესახებ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. ივლისის 29-ის დადგენილების შესაბამისად (ა/კსფსრ კან. კრ. 1931 წ. მე-14 №-ი, მუხ. 167), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საიჯარო ქირის განაკვეთებს ადგილობრივი საბჭოების ქონებისათვის მიკუთვნილი არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობებისა, რაც დაჭერილია კანცელარიისა და სხვა, არასავაჭრო და არასამრეწველო ხასიათის, საჭიროებისათვის, ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში აწესებენ საარაონო აღმასრულებელი კომიტეტები და საქალაქო საბჭოები—კუთვნილებისამებრ—შემდეგ საფუძვლებზე:

	ტფილისში.	სხვა ადგილებში
ა) სახელმწიფო თუ ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებებისათვის და აგრეთვე პროფესიონალური, პარტიული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის . .	75 კ.	45-დან 65 კაპიკამდე თვითეულ 1 კვად. მეტრაზე;
ბ) სამეურნეო ანგარიშზე მყოფ სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთათვის, კოოპერატიულ ორგანიზაციათათვის, სახელმწიფო თუ კოოპერატიული კაპიტალის უპირატესი მონაწილეობით მომქმედი სააქციო საზოგადოებათათვის და იმ კერძო ორგანიზაციათათვის, რომელნიც მოგებას არ მისდევენ	1 მან. და 25 კ.	65 კაპიკიდან 1 მან. და 10 კაპიკამდე
გ) სხვა ორგანიზაციებისათვის საიჯარო ქირა მყარდება სახლის სამოურაოსთან შეთანხმებით, ხოლო არა ნაკლებ	1 მან. და 50 კ.	1 მან. და 25 კ.

შენიშვნა. ამა მუხლში აღნიშნული განაკვეთებით დაწესებულება თუ ორგანიზაცია ქირას გადაიხდის მხოლოდ იმ ფართობისათვის, რაც დაჭერილია 4,5 კვად. მეტრის ფარგლებში თვითეულ ფაქტიურად მომუშავე თანამშრომელზე. ზედმეტი ფართობისათვის ქირა გადახდილ უნდა იქნეს ერთი-ორად.

2. მიენდოს აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს დააწე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სონ საიჯარო ქირის ზღვრული განაკვეთები ისე, რომ საიჯარო ქირა შეიცავდეს საამორტიზაციო ანარიცხებს სადგომის ღირებულების $^1/_2$ პროცენტიდან $1^1/_2$ პროცენტამდე; სადგომის მდგომარეობის მიხედვით და დახარჯული კაპიტალის პროცენტს 3-დან 5-მდე, ხოლო, ამასთანავე, საიჯარო განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს ამა დადგენილებაში აღნიშნულ განაკვეთებს.

3. ამა დადგენილების გამოცემისათანავე გაუქმებულ იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. ოქტომბრის 26-ის დადგენილება „იმ საცხოვრებელი სადგომების ქირის შესახებ, რომლებიც ქ. ტფილისში დაწესებულებებს უჭირავთ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1926 წ. მე-5 №-ი, მუხ. 123).

4. დადგენილება ესე შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებების მიმართ—1933 წ. იანვრის 1-დან, ხოლო მისი დანარჩენი ნაწილი—1932 წ. ივლისის 1-დან.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **პ. აღნიაშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **გ. თათეიშვილი.**

1932 წ. მაისის 23.
ტფილისი.

ფინანსები

107. დადგენილება ს.კ.ს.

სოფლის კულტურული და სამეურნეო მშენებლობის საჭიროებისათვის გამოსაღების ჩატარების თაობაზე გამოცემული დადგენილების მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტის რედაქციის შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

სოფლის კულტურული და სამეურნეო მშენებლობის საჭიროებისათვის გამოსაღების ჩატარების შესახებ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის თებერვლის 1-ის დადგენილების (კან. კრ. 1932 წ. მე-3 №-ი, მუხ. 23) მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

[15. განთავისუფლებულ იქნენ გამოსაღებით დაბეგვრისაგან შრომითი საგლეხო მეურნეობანი:.....]

„ბ) ერწო-თიანეთის რაიონის სოფ. ხაშალისა და ბაჩალისა“.

საქ. სსრ. ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **პ. აღნიაშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1932 წ. მაისის 17.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

108. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა თაობაზე გამოცემული დადგენილების 23 მუხლის „ბ", „დ" და „ე" პუნქტების გაუქმების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა თაობაზე გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აპრილის 3-ის დადგენილების 23 მუხლის „ბ", „დ" და „ე" პუნქტები (კან. კრ. 1931 წ. მე-6 №-ი, მუხ. 71) გაუქმებულ იქნეს.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **პ. ალნიაშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1932 წ. მაისის 13.

ტფილისი.

ზ რ ო ბ ა

109. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„საქართველოს სსრ ტერიტორიაზე შრომის საგზაო ბეგარის განხორციელების თაობაზე" გამოცემული დადგენილების მე-5 მუხლის გაუქმების შესახებ.

ა/კსფსრ კანონმდებლობის შეცვლის შესახებ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1932 წ. მარტის 17-ის დადგენილების მე-3 მუხლის შესაბამისად, რომელი ცვლილებაც დამყარებულია სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებაზე „საგადასახადო რეფორმისა და საგზაო მეურნეობის დაფინანსების წესის შესახებ" (ოქმი № 26, § 6), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

მე-5 მუხლი სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. აგვისტოს 30-ის დადგენილებისა „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე შრომის საგზაო ბეგარის განხორციელების შესახებ" (კან. კრ. 1930 წ. მე-16 №-ი, მუხ. 256) გაუქმებულ იქნეს.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1932 წ. მაისის 13.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

110. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„ტყის დამზადებისა და წყლით ჩამოტივტივებისათვის შრომისა და ჭაპანზიდვის სასყიდლიანი ბეგარის დაწესების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების გაუქმების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მარტის 27-ის დადგენილების შესაბამისად, რომელი დადგენილებითაც გაუქმებულია მათივე 1930 წ. ივნისის 3-ის დადგენილება „ხე-ტყის დამზადებისა და წყლით ჩამოტივტივების სამუშაოთა გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

გაუქმებულ იქნეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მაისის 21-ის დადგენილება „ტყის დამზადებისა და წყლით ჩამოტივტივებისათვის შრომისა და ჭაპანზიდვის სასყიდლიანი ბეგარის დაწესების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-12 №-ი, მუხ. 177; 19 №-ი, მუხ. 280).

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **პ. ალნიაშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1932 წ. მაისის 13.
ტფილისი.

---

111. დადგენილება ს.კ.ს.

ხე-ტყის მასალის გამოსაზიდად თელავის, გურჯაანის, საგარეჯოს, მცხეთის და კასპის რაიონებში ფასიანი შრომის საჭაპანზიდვო ბეგარის შემოღების შესახებ.

„ხე-ტყის მასალისა და შეშის გამოსაზიდად სადგურებამდე, წყლით ჩამოტივტივების ადგილებამდე და ქარხნებამდე ხე-ტყის დამზადების რაიონებში მოსახლეობის შრომის ფასიან საჭაპანზიდვო ბეგარაზე გაწვევის შესახებ“ გამოცემული 1932 წლის მარტის 23-ის დადგენილების დასამატებლად (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-7 №-ი, მუხ. 61; გაზ. „კომუნისტის“ 72 №-ი 1932 წლის მარტის 27-ისა) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. თელავისა, გურჯაანისა, საგარეჯოს, მცხეთისა და კასპის რაიონების მოსახლეობა გაწვეულ იქნეს ფასიან შრომის საჭაპანზიდვო ბეგარაზე.

2. აღნიშნული ბეგარით თვითეულ ზემოხსენებულ რაიონში ხე-ტყის დამზადებელ ორგანიზაციებს უნდა მიეჩინოს 750 დღე-საზიდავი მცხეთის ქარხნის ხე-ტყის მასალით უზრუნველყოფისათვის.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **პ. ალნიაშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1932 წ. მაისის 20.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისხლის სამართალი

112. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სისხლის სამართლის კოდექსის 136¹ და 200¹ მუხლების შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სისხლის სამართლის კოდექსის 136¹ და 200¹ მუხლები (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-2 №-ი, მუხ. 23; 1932 წ. მე-11 №-ი, მუხ. 85) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„136¹. დაუზოგველი, ე. ი. სახალხო მეურნეობისათვის ზიანის მიმყენებელი დაკვლა საქონლისა ან საქონლის განზრახ დაშავება—სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ჩაშლისა და სოფლის მეურნეობის წარმატების დაბრკოლების მიზნით და აგრეთვე ვისიმე შეგულიანება ასეთი მოქმედებისათვის გამოიწვევს

თავისულების აღკვეთას ორ წლამდე უწყებული ადგილიდან განდევნით ან უამისოდ“.

„200¹. გაყიდვის მიზნით საქონლის დაკვლა სასაკლაოს გარეშე, ხოლო იქ, სადაც სასაკლაო არ არის, საქონლის დაკვლა სავეტერინარო-სასანიტარო ზედამხედველობის წესების დარღვევით გამოიწვევს:

პირველად—

ჯარიმას არა უმეტეს დაკლული საქონლის პროდუქტის და დასაკლავად განმზადებული საქონლის ათჯერადი ღირებულებისა მტკიცე დასამზადებელი ფასების მიხედვით დაკლული საქონლის პროდუქტის და დასაკლავად განმზადებული საქონლის კონფისკაციით; ეს გადასახდელი დაიდება საადმინისტრაციო წესით;

მეორედ—

თავისუფლების აღკვეთას ან იძულებითს მუშაობას ერთ წლამდე—ორსავ შემთხვევაში ჯარიმით არა უმეტეს დაკლული საქონლის პროდუქტის და დასაკლავად განმზადებული საქონლის ათჯერადი ღირებულებისა მტკიცე დასამზადებელი ფასების მიხედვით და დაკლული საქონლის პროდუქტის და დასაკლავად განმზადებული საქონლის კონფისკაციით“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **პ. აღნიაშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1932 წ. მაისის 22.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

113. დადგენილება ც.ა.კ.

ა/კსფსრ-ის არსებობის ათი წლის თავის აღსანიშნავად გამოცემული ამნისტიის შეფარდების ვადის განგრძობის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

განგრძობილ იქნეს 1932 წ. მაისის ბოლომდე ა/კსფსრ-ის არსებობის ათი წლის თავის აღსანიშნავად 1932 წ. მარტის 11-ს გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ამნისტიის („ზარია ვოსტოკა"-ს 1932 წ. მარტის 12-ის 60 №-ი) შეფარდების ვადა, რაც აღნიშნულია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1932 წ. მარტის 13-ის დადგენილებაში „ა/კსფსრ-ის დაარსების ათი წლის თავის აღსანიშნავად ამნისტიის თაობაზე გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1932 წ. მარტის 11-ის დადგენილების საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განხორციელების წესის შესახებ" (სსსრ კან. კრ. 1932 წ. მე-7 №-ი, მუხ. 64; გაზ. „კომუნისტის" 1932 წ. მარტის 16-ის 63 №-ი).

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1932 წ. მაისის 5.

ტფილისი.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

114. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

შრომისა და წარმოების დაცვისათვის სახალხო სასამართლოს განსაკუთრებული სესიების მოწყობის შესახებ.

საქართველოს სსრ სასამართლოს წყობილების დებულების მე-V კარის მე-XVII თავის („სპეციალური სასამართლო დაწესებულებანი განსაკუთრებული კატეგორიის საქმეთა განხილვისათვის") 136, 137, 138 და 139 მუხლების გასაუქმებლად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ყველა დიდ ქალაქში და აგრეთვე ყველა იმ ადგილას, სადაც მნიშვნელოვანი სამრეწველო საწარმონია, მოეწყოს სახალხო სასამართლოს განსაკუთრებული სესიები შრომისა და წარმოების დაცვისათვის; ეს სესიები იხილავენ შემდეგ საქმეებს: ა) შრომის კანონმდებლობისა და კოლექტიური ხელშეკრულებების დარღვევის შესახებ; ბ) შრომის დისციპლინის ბოროტეულად დარღვევის შესახებ; გ) იმ სამეურნეო დანაშაულთა შესახებ, რასაც მოჰყვა სამრეწველო-საფინანსო გეგმის შეუსრულებლობა; დ) დამქირავებელთა და მშრომელთა შორის

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღძრული ჯგუფური და ინდივიდუალური დავის შესახებ, რაც გამომდინარეობს შრომითი ურთიერთობიდან და განსახილველია სასამართლო წესით მომქმედი შრომის კანონებისა და წესების თანახმად; აგრეთვე სესიები უწევენ ზედამხედველობას საწარმოო-საამხანაგო სასამართლოების მოქმედებას.

2. სახალხო სასამართლოს განსაკუთრებული სესიის გახსნის ადგილს განსაზღვრავს საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლო, საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატთან, რესპუბლიკის პროკურორთან და მრეწველობის რესპუბლიკანურ ორგანოებთან შეთანხმებით, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქში—სათანადო უმაღლესი (უზენაესი) და მთავარი სასამართლო, შრომის ცენტრალურ ორგანოებთან, მრეწველობის ორგანოებთან და ამ რესპუბლიკებისა და ოლქის პროკურორებთან შეთანხმებით.

3. სახალხო სასამართლოს განსაკუთრებული სესია შრომისა და წარმოების დაცვისათვის მოქმედობს სახალხო მოსამართლის თავმჯდომარეობით, რომელსაც სპეციალურად გამოჰყოფს საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლო, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკასა და ოლქში სათანადო უმაღლესი (უზენაესი) და მთავარი სასამართლო სათანადო რაიონის სახალხო მოსამართლეთაგან—აღნიშნული სესიისათვის მუდმივი ხელმძღვანელობის გასაწევად, და ორი სახალხო მსაჯულის შედგენილობით, რომელთა შორის ერთი უნდა იყოს სამეურნეო დარგში მომუშავეთაგანი, ხოლო მეორე—მოწინავე მუშა; ეს სახალხო მსაჯულნი მიიწვევიან რიგრიგობით ამა დადგენილების მე-4—6 მუხლში აღნიშნული წესისამებრ სპეციალურად შედგენილი ორი სიის მიხედვით.

4. ყოველწლიურად, სახალხო მსაჯულთა საერთო სიების შედგენის დროს, იმ ადგილებში, სადაც მოქმედობენ სახალხო სასამართლოს განსაკუთრებული სესიები შრომისა და წარმოების დაცვისათვის, შედგენილ უნდა იქნეს სახალხო მსაჯულთა ორი სპეციალური სია აღნიშნული სესიებისათვის მომსახურეობის გასაწევად.

პირველ სიას შეადგენს უწყებული რაიონის სახალხო მსაჯულთა საერთო სიის შემდგენელი ორგანო იმ მოქალაქეთაგან, რომელთაც უჭირავთ პასუხსაგები სამეურნეო თანამდებობანი სახელმწიფო საწარმოსა და კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციაში; მეორე სიას შეადგენს სათანადო საქალაქო ან სარაიონო საკავშირთაშორისო პროფესიონალური ორგანიზაცია საფაბრიკო-საქარხნო და სხვა საწარმოთა დამკვრელ მუშათაგან, რომელნიც აირჩევიან ამ საწარმოთა მუშების საერთო კრებებზე.

იმ სახალხო მსაჯულთა რიცხვს, რომელნიც შეტანილ უნდა იქნენ სპეციალურ სიებში, სახალხო სასამართლოს თვითეული განსაკუთრებული სესიისათვის განსაზღვრავს ადგილობრივი პირობების მიხედვით, სათანადო (უზენაესი, უმაღლესი, მთავარი) სასამართლო, რომლის დადგენილებითაც მოწყობილია ესა თუ ის სესია. კანდიდატების რიცხვს ცალკეულ საწარმოსა და პროფესიონალურ ორგანიზაციას შორის გაანაწილებს სიების შემდგენელი ორგანო ამ საწარმოსა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ორგანიზაციაში მყოფ ისეთ პირთა რიცხვის პროპორციულად, რომელნიც შეიძლება არჩეულ იქნენ სახალხო მსაჯულებად.

5. სახალხო სასამართლოს განსაკუთრებული სესიებისათვის მომსახურეობის გასაწევად არჩეულ სახალხო მსაჯულთა სპეციალურ სიებს ამტკიცებს სათანადო საქალაქო საბჭო და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც მოვალეა ამოშალოს ამ სიებიდან ის პირნი, ვინც არ შეეფერება საერთო მოთხოვნათ.

6. ზემოაღნიშნულ სპეციალურ სიებში შეტანილი სახალხო მსაჯულნი მიიწვევიან სახალხო სასამართლოს განსაკუთრებული სესიების სხდომებში მონაწილეობის მისაღებად არა უმეტეს, ვიდრე ხუთი დღის განმავლობაში წელიწადში.

7. ზემოაღნიშნულ გამონაკლისთა გარდა, სახალხო სასამართლოს განსაკუთრებული სესიები შრომისა და წარმოების დაცვისათვის მოქმედობენ სახალხო სასამართლოსათვის დადგენილ საერთო საფუძველზე.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1932 წ. მაისის 13,
ტფილისი.

---

115. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს

საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულების მე-VI თავის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 46 მუხლი (კან. კრ. 1928 წ. 16 №-ი, მუხ. 157; 1929 წ. მე-3 №-ი, მუხ. 28; 22 №-ი, მუხ. 266; 1930 წ. მე-7 №-ი, მუხ. 63; მე-9 №-ი, მუხ. 86 და 87; მე-11 №-ი, მუხ. 155; 1931 წ. მე-3 №-ი, მუხ. 52; მე-15 №-ი. მუხ. 182; მე-21 №-ი, მუხ. 232; 23 №-ი, მუხ. 251) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„46. ფულის გადასახდევინებლად ან მოვალისაგან სხვა ქონების მოსათხოვნად სანოტარო ორგანო გაუკეთებს აღსრულების წარწერას იმ დოკუმენტს, რომელიც მოვალის ვალდებულებას შეიცავს. იმ დოკუმენტების ნუსხას, რომელთა მიხედვითაც გადახდევინება მოხდება სანოტარო ორგანოების მიერ გაკეთებული აღსრულების წარწერის საფუძველზე, განსაზღვრავს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს წარდგენით“.

2. გაუქმებულ იქნეს საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 47 მუხლი შენიშვნითურთ (კან. კრ. 1928 წ. მე-16 №-ი, მუხ. 157; 1931 წ. მე-3 №-ი, მუხ. 52; 21 №-ი, მუხ. 232).

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 48 მუხლი (კან. კრ. 1928 წ. მე-16 №-ი, მუხ. 157; 1930 წ. მე-7 №-ი, მუხ. 63) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„48. აღსრულების წარწერას სანოტარო ორგანო გააკეთებს იმ შემთხვევაში:

ა) უკეთუ ყველა წარდგენილი დოკუმენტიდან ერთად ნათლად სჩანს მოვალის დავალიანება ან სხვა პასუხისმგებლობა გადამხდევინებლის წინაშე;

ბ) უკეთუ მოთხოვნის ვადის დადგომის დღიდან ერთ წელიწადზე მეტი არ გასულა“.

4. გაუქმებულ იქნეს საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 48 მუხლის შენიშვნები (კან. კრ. 1929 წ. 22 №-ი, მუხ. 266; 1931 წ. მე-3 №-ი, მუხ. 62).

5. საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 49 მუხლი (კან. კრ. 1928 წ. მე-16 №-ი, მუხ. 157) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„49. აღსრულების წარწერაში უნდა აღინიშნოს:

ა) სანოტარო ორგანოს სახელწოდება, წელიწადი, თვე, რიცხვი და ნომერი რეესტრის მიხედვით;

ბ) გადამხდევინებლის სახელწოდება;

გ) მოვალის სახელწოდება და მისამართი;

დ) ის ვადა, რომლისათვისაც უნდა მოხდეს გადახდევინება (ნაწილობრივი გადახდევინების დროს—განსაზღვრული ვადებისათვის);

ე) გადასახდევინებელი თანხა ან იმ საგნების სწორი სახელწოდება, რაც მოთხოვნილ უნდა იქნეს;

ვ) პროცენტები, უკეთუ იგი ერგება გადამხდევინებელს;

ზ) გადამხდევინებლის მიერ აღსრულების წარწერისათვის გადახდილი გამოსაღები, რაც მოვალეს უნდა გადახდეს;

თ) ნოტარიუსის ხელმონაწერი და სანოტარო ორგანოს ბეჭედი“.

6. სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 51 მუხლი (კან. კრ. 1928 წ. მე-16 №-ი, მუხ. 157; 1930 წ. მე-9 №-ი, მუხ. 86) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით.

„51. აღსრულების წარწერის გაკეთება შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესისამებრ (თავი XXIII—კან. კრ. 1931 წ. მე-19 №-ი, მუხ. 205)“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1932 წ. მაისის 13.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

116. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან მყოფ მთავარი არბიტრისათვის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს, საქართველოს სსრ ეკონომიური საბჭოს და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიის სხდომებში სათათბირო ხმის უფლების მინიჭების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან მყოფ მთავარ არბიტრს მიენიჭოს სათათბირო ხმის უფლება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს, საქართველოს სსრ ეკონომიური საბჭოს და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ აღსრულების შემმოწმებელი კომისიის სხდომებში.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1932 წ. აპრილის 4.

ტფილისი.

მთავლიტი № 1406. საქ. სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა. ტირაჟი 1300.